გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N27 (9207) 30 სექტემბერი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი



6

კოპიტნარის აეროპორტი „ვიზაირის“ საავიაციო რუკაზე

პროფესიულ დღეს გილოცავთ! 2

2 „გადაამოწმე შენი თავი ამომრჩეველთა ერთიან სიაში“

## 1 ოქტომბერი მოხუცთა საერთაშორისო დღეა!

დამაბნეველად დასმული შეკითხვების კვალდაკვალ 9



7

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში წვლილს წარმატებული სამტრედიელიც შეიტანს



4

მივიღოთ გააზრებული, სწორი გადაწყვეტილება



„...რა კარგად გვიცხოვრია“ 2



10

ინტერესი სპორტული აკრობატიკისადმი დიდია

# პროფესიულ დღეს გილოცავთ!

**ლევან გაბეჩავა**



მასწავლებლები ყოველთვის იყვნენ ჩვენი საზოგადოების აქტიური წევრები, ასეა ამჟამადაც.

თუმცა...

თუმცა ბევრი რამ გადაფასდა, ახლებურად წარმოჩნდა და რამდენადმე საზოგადოების დამოკიდებულებაც შეიცვალა მასწავლებლებისადმი.

ეს პროცესი, ჩვენი აზრით, მაშინ დაიწყო, როცა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სკოლებიდან მასობრივად წავიდნენ მამაკაცი პედაგოგები.

მიზეზი _ ეკონომიკური ვითარება.

გმირობა, პროფესიისადმი უსაზღვრო სიყვარული უნდა ეწოდოს იმ მამაკაც პედაგოგთა ქმედებას, ბოლომდე რომ დარჩნენ სკოლებში, სასწავლო დაწესებულებებში, თუმცა, ეს სხვა წერილის თემაა.

მართალია, ჩემს თაობას მაშინ არ უცხოვრია, როცა ეგონათ, მასწავლებელი არაჩვეულებრივი მოვლენა იყო, (არ ჭამდა, არ სვამდა და ა. შ.), მაგრამ მაშინ მეტი სუბორდინაცია, მოკრძალება, ზღვარი ნამდვილად არსებობდა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის.

ეს ზღვარი დღეისათვის რამდენადმე თუ არ წაიშალა, ნამდვილად გაფერკმრთალდა.

მიზეზი?

უამრავია.

ბოლო ათეული წლებია, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მასწავლებლების ნახვა ბაზარში გამყიდველის ამპლუაში.

არაა იშვიათი, როცა პედაგოგები იძულებულნი არიან მიატოვონ სკოლა, ოჯახი, პროფესია და საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად საზღვარგარეთს მიაშურონ.

ახლა ათასგვარი საკვალიფიკაციო, სასერტიფიკაციო... გამოცდები. გაჟღერებელი ინფორმაცია _ მასწავლებელი ჩაიჭრა?

მასწავლებელმა ვერ ჩააბარა?

ვერ გადალახა ბარიერი და ა. შ. და ა. შ.

პირდაპირ თუ არაპირდაპირ ბოლო ოცწლეულში ქვეყანაში განვითარებულმა და, სამწუხაროდ, დღემდე შენარჩუნებულმა ვითარებამ უარყოფითად არა მარტო მასწავლებელთა ეკონომიურ ყოფაზე მოახდინა გავლენა, ზოგადად, პედაგოგთა ავტორიტეტიც ქვევით დასწია.

გვესმის, გვწამს, რომ პროფესიულად ყოველდღიურად უნდა იზრდებოდეს მასწავლებელი.

საუბარი არაა იმაზე, რომ მან, პედაგოგმა ფეხი უნდა აუწყოს, არ უნდა ჩამორჩეს თანამედროვე ეპოქის მზარდ მოთხოვნებს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მასწავლებლები საჯილდაო კოჭად არ უნდა აქციოს სახელმწიფომ. არ შეიძლება დაუსრულებლად საუბარი ხელმოცარულ (ბარიერგადაულახავ) პედაგოგთა სტატისტიკაზე.

მოკლედ, შევუქმნათ პედაგოგებს შესაფერისი ყოფითი, შრომითი, პირობები და მერე მოვთხოვოთ მაქსიმუმი.

ვენდოთ მათ იმ განათლებას, უნივერსიტეტებსა თუ ინსტიტუტებში რომ მიიღეს.

დაბოლოს, პლატონი ასე მსჯელობდა: თუ ათენელებს ცუდი მასწავლებლები ეყოლებათ, ქვეყანა დაიღუპებაო!

გასათვალისწინებელია!

ბევრადაა დამოკიდებული მასწავლებლებზე ჩვენი და ჩვენი ქვეყნის მომავალი.

პროფესიულ დღეს აღნიშავენ ამ დღეებში პედაგოგები.

ვულოცავთ და ვუსურვებთ პირნათლად აღესრულებიოთ ის საქმე, ნორჩების სიყვარულის გამო პროფესიად რომ გაიხადეს.

# “...რა კარგად გვიცხოვრიაო”

**ნინო ნანიტაშვილი**

***მათი რიცხვი ყოველწლიურად ილევს. შარშანწინ სამნი იყვნენ, შარშან _ ორი, წელს მხოლოდ ერთი შემორჩა.***

***სამი წლის წინ კეთილად ვხუმრობდით, სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სამი ასწლიანი მოხუციდან სამივე გომის თემის მკვიდრიაო.***

***2016 წლის 1-ლი ოქტომბერი, “ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე”, საბედნიეროდ, გალინა ნიკურაძეს გაუთენდა. სახლი “თანადგომას” დირექტორი მზევინარ ბოხუა თანმხლებ პირებთან ერთად გომში, ნიკურაძეების უბანში წელსაც გავიდა.***

სამტრედიის მუნიციპალიტეტის “სახლი თანადგომას” ბენეფიციართა დასახმარებლად სხვადასხვა პროგრამები გააჩნია. მათ შორისაა “100 წლიანთა დღე”, რომელსაც 1-ლ ოქტომბერს აღნიშნავენ.

გალინა ნიკურაძეს წელს მესამედ ესტუმრნენ. ჭიშკართან ამჯერად 103 წლის ქალბატონის ერთადერთი შვილი, ნათელა შემოგვეგება. გვახსენდება მისი მონათხრობი, 6 წლის წინ როგორ დატოვა ინტელიგენტმა, მეცნიერ-მუშაკმა ქალბატონმა თბილისი, წარმატებული სამსახური, რადგან 97 წლის დედა ოჯახური მეურნეობის მოვლას ვეღარ აჩერხებდა.

ნათელა ნიკურაძე დღესდღეობით შინაურ პირუტყვსა და ფრინველს უვლის, სოფლის მეურნეობას უძღვება და 100 წელს გადაცილებულ დედას თვალისჩინივით უფრთხილდება.

ქალბატონი გალინა ისევ მწოლიარე დაგვხვდა. წელს ცოტათი გა-



უჭირდა ჩვენი გახსენება. სახლი “თანადგომას” პროგრამა უხუცესი მოხუცებისთვის წელსაც მრავალფეროვანი იყო. 100 ლარის ღირებულების პროდუქტებში ტკბილეულობაც შედიოდა, რაც ძალიან უყვართ მოხუცებს.

“დედაშვილობაში ასაკი რომ არ მოქმედებს, კარგად სჩანს ქალბატონი ნათელას საუბარში, რომელიც თავს ევლება ლოგინად ჩაწოლილ 103 წლის დედას და ჩვენს დანაბარებსაც გვისრულებს: “აბა, თქვენ იცით, როგორ დაგვახვედრებთ დედიკოს მომავალ წელსაც! უკვე მესამეჯერ შეგვისრულა პირობა და ალბათ, რამდენიმე წელს კიდევ გაუხანგრძლივებს სიცოცხლეს. _ “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში აღნიშნა “სახლი თანადგომას” დირექტორმა, მზევინარ ბოხუამ და იქვე დაამატა: ვისურვებდი, ქალბატონი გალინას რიცხვში ბევრი 100 წლიანი გვენახოს, ადგილობრივ თვითმმართველობას კი ჰქონოდეს შესაძლებლობა, კიდევ უფრო მეტად გაეხარებინოს დღეგრძელი მოხუცები, ყველას ვულოცავ ამ დღეს, 100 წელს გადაცილებულებსაც და უფრო ნაკლებსაც; ვუსურვებ მათ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ახალგაზრდებს კი მინდა, ისე ეცხოვროთ, რომ, როდესაც თმა შეევერცხლებათ, ეთქვათ, რა კარგად გვიცხოვრიაო”.

“სახლი თანადგომას” 500-მდე ბენეფიციარი ჰყავს. მათი პროგრამების განხორციელებას დირექტორი, მზევინარ ბოხუა თანამშრომლებთან ერთად ენერგიულად ემსახურება.

# “გადაამოწმე შენი თავი ამომრჩეველთა ერთიან სიაში”

ნანა ნიკოლეიშვილი სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩის 8 ნომერ ბინაში ცხოვრობს. როგორც თავად ამბობს, არჩევნებში როგორც ამომრჩეველი, ყოველთვის აქტიურად იღებდა მონაწილეობას. “სამტრედიის მაცნემ” ქალბატონი ნანა იმ დროს დააფიქსირა, როცა იგი 55-ე სამტრედიის მაჟორიტარული ოლქის მე-13 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან საარჩევნო სიაში საკუთარ თავს ეძებდა:

“როგორც ამომრჩეველი, თითქმის ყველა არჩევნებში ვღებულობ მონაწილეობას. ახლაც იმისთვის მოვედი, ვნახო, სიაში შემთხვევით არ ვიყო გამორჩენილი. აღმოჩნდა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მაქვს. 8 ოქტომბერს მოვალ ამ უბანზე და დავაფიქსირებ ჩემს პოზიციას”.

მთელი საქართველოს მასშტაბით, 22 სექტემბერს ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი თავის გადამოწმების ვადა ამოიწურა. შეგახსენებთ, რომ 8 სექტემბრიდან 22 სექტემბრის ჩათვლით ამომრჩეველს შეეძლო, მიემართა იმ უბნისთვის, სადაც ის არჩევნების დროს სასურველ კანდიდატს ირჩევს.

“გადაამოწმე შენი თავი ამომრჩეველთა ერთიან სიაში” ამ აქციის ფარგლებში ნანა ნიკოლეიშვილის მსგავსად ბევრმა ამომრჩეველმა გამოხატა სურვილი, თავისი და თავისი ოჯახის წევრების მონაცემები გადაემოწმებინა. გადამოწმების შედეგად გაირკვა ის, რომ ამომრჩევლების ერთი ნაწილი ან არ იყო სიაში, ან არ აღმოჩნდნენ იმ უბანზე, სადაც რეგისტრაციით განსაზღვრული უნდა ყოფილიყვნენ. გამორჩენილებმა საოლქო საარჩევნო კომისიას განცხადებებით მიმართეს, რომლითაც ისინი კანონით განსაზღვრულ საზღვრებში ითხოვდნენ ხმის მიცემის შესაძლებლობას.

***ნინო ნანიტაშვილი***

1 ოქტომბერი მოხუცთა საერთაშორისო დღეა!

# თვალი დაუდგეს სიბერეს

გვითხრა ჩვენმა რესპონდენტმა, რომელიც დილაადრიან ქალაქში ერთ-ერთ სკვერში ძელსკამზე ჩამომჯდარიყო და ფიქრს მისცემოდა.

83 წლისა ვარ, სამი შვილისა და 7 შვილიშვილის დედა და ბებია გახლავართო ქალბატონმა ლილიმ.

სენაკში, ეთერზეთების სახდელ ფაბრიკაში უმუშავია 41 წელი, პენსია ერთი შეხედვით, გვარიანი აქვს _ 180 ლარი, მაგრამ მრავალსულიან ოჯახში, რომლის სტაბილური შემოსავალი მხოლოდ მისი და მისი 87 წლის მეუღლის პენსიაა, სამყოფი ნამდვილად არაა.

ორი შვილი საზღვარგარეთაა სამუშაოდ.

ასე რომ, ყოველდღიურობა სიბერისა და მით უფრო სიკვდილის უფლებას არ გვაძლევს მე და ჩემს ბერიკაცსო. _ გვეუბნება ქალბატონი, რომელიც მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე დიდ იმედებს ამყარებს.

ქალიშვილთან უსტუმრია სამტრედიაში, ამჯერად სენაკში მიემგზავრება.

83 წელს ნამდვილად ვერ მისცემთ ქალბატონ ლილის.

თავადაც დაგვიდასტურა ჩემზე უმცროსები უფრო ავადობენ ვიდრე მეო.

გამართულ სახლ-კარს, 4 სულ პირუტყვს, უამრავ ფრინველს მეუღლესთან ერთად უვლის თურმე და ნახევარ ჰექტარ სიმინდის ყანასაც თავს დასტრიალებენ მოხუცი ცოლ-ქმარი, ოჯახის სხვა წევრებიც ეშველებიან, როცა საქმე მოეძალებათ.

მოხუცთა საერთაშორისო დღე ახლოვდება, მინდა, ხანგრძლივი სიცოცხლე გისურვოთ თქვენ და თქვენს მეუღლეს და გთხოვთ მიულოცოთ ეს დღე თქვენ ახლობელ ხანდაზმულ ადამიანებს-თქო, მივმართე რესპონდენტს და: თვალი დაუდგეს სიბერეს, შვილო, მოხუცებულობა რა მოსალოციაო, მითხრა, თუმცა წლებით მხრებდამძიმებული ადამიანებისადმი კეთილი სურვილები მაინც გამოთქვა და მშვიდი ხანდაზმულობის წლები უსურვა მათ.

მოხუცთა საერთაშორისო დღეს ვულოცავთ ადამიანებს, თავიანთი მხრებით რომ ზიდეს ცხოვრების მძიმე ჭაპანი და ამჟამად შვილებითა და შვილიშვილებით, მათი მონაგრით ხარობენ.

ვულოცავთ სათნოების სახლების სათნო ბინადრთ, ჩვენი სითბო და თანადგომა რომ სჭირდებათ არა მარტო 1-ლ ოქტომბერს, ყოველ წუთს, ყოველ წამს.

***ლევან გაბეჩავა***



უფასო პოლიტიკური რეკლამა

# პარლამენტარობა ადამიანს ხელს არც ექიმობაში უშლის და არც არანაირ პროფესიაში

**თეა ბაბუნაშვილი**

*არჩევან-არადანის ძიებით დატვირთულ წინასაარჩევნო პერიოდს რამდენიმე დღეში არჩევნები დააგვირგვინებს. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მუნდირს ამჯერად მერაბ ჯანელიძე დაიცავს. ოთხი წლის წინანდელი კრახის შემდეგ იგი კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა. ექიმი მერაბ ჯანელიძე სამტრედიის სახეა, პროფესიონალიზმის უდიდესი მაგალითი. იგი თანაქალაქელებს უყვართ და პატივს სცემენ თუმცა, კაცს, რომელსაც საკუთარ ჯანმრთელობას დაუფიქრებლად ანდობენ, ოთხი წლის წინ საკუთარი ხმა არ ანდეს. ამჟამინდელ გადაწყვეტილებებზე _ ნაარჩევნებს, მანამდე კი, რამდენიმე წინასაარჩევნო კითხვა კანდიდატთან წინასაარჩევნო პასუხებით.*

**_ მაშინაც კი, როცა ოთხი წლის წინ კანდიდატურა მაჟორიტარი კანდიდატის ამპლუაში დააყენეთ, ბევრს უკვირდა, თუ რაში სჭირდებოდა ასეთ წარმატებულ ექიმსა და პროფესიონალს ამ ტვირთის "კიდება". განმეორებითი მცდელობა, მით უმეტეს ამჯერად, უკვე არასახელისუფლებო პარტიის სახელით, კიდევ უფრო საკვირველია ადგილობრივებისათვის. რა სარგებლობა მოაქვს სამტრედიისთვის პატივსაცემი მერაბ ჯანელიძის ამ ნაბიჯს იმის ფონზე, რომ საკუთარ ჯანმრთელობას თამამად განდობენ სამტრედიელები, თუმცა საკუთარი საარჩევნო ხმა ერთხელ უკვე არ განდეს პარლამენტარის პოსტზე?**

_ თქვენი კითხვა პასუხს უკვე სცემს საკუთარ თავს _ ინტელექტის გამო. პარლამენტში ბევრი უნიჭო და გაუნათლებელი ხვდება, რაც ძალიან სამწუხაროა. მათ ღილაკზე ხელის დაჭერის მეტი არაფერი იციან, არ არიან ის ადამიანები, ვინც უნდა დაწეროს და წაიკითხოს კანონი. ბევრს რომ ვამბობ, რა თქმა უნდა, ყველა არ იგულისხმება. განსაკუთრებით, რაც სამტრედიელ მაჟორიტარებს შეეხებათ, მივეჩვიეთ, რომ პარლამენტში ჩვენი წარმომადგენლები ან რუსთაველები ხდებიან, ან არჩევიდან 4 წლის განმავლობაში ვერავინ პოულობს. მე, როგორც რიგით სამტრედიელს, რომელმაც დავამტკიცე, რომ მართლა სამტრედიელი ვარ და სამტრედიელებისთვის ყოველთვის მიკეთებია ის, რაც შემეძლო, მინდა, ამ მხრივაც მოვსინჯო ძალები მის სამსახურში.

**_ ასეთ შემთხვევაში რატომ აირჩიეთ "ნაციონალური მოძრაობა". გულწრფელად გეტყვით, არ გგონიათ, რომ ეს წაგებული თამაშია?**

_ მე ასე არ ვფიქრობ. გუნდი, რომელსაც "ნაციონალური მოძრაობა" ჰქვია, ინტელექტუალურად ჩამოყალიბებული, საქმიანი ადამიანების ერთობაა, რომელთაც ქვეყნის განვითარების გეგმა და მისი უკეთესად ცხოვრების სურვილი აქვთ. ვხედავთ, რომ უკვე 4 წელია, ივანიშვილის ხელისუფლება ჭაობისაკენ მიგვათრევს. და ისე, როგორც მაშინ, 9 წლის წინ ქვეყნის ჭაობიდან ამოყვანა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მოვალეობად მიმაჩნია.



**_ საკუთარი საარჩევნო პროგრამა და დაპირებები რამდენადმე განაახლეთ, თუ ოთხი წლის წინანდელის იდენტურია?**

_ როგორც ექიმის, ჩემი პროგრამა შეეხება იმ სფეროს, რომელსაც მე კარგად ვიცნობ. ეს სოციალური საკითხების მოგვარებაა. ძირითადად ამ კუთხით ვიქნები ორიენტირებული. ჯანდაცვის საკითხების გაუმჯობესებაზე აღარაფერს ვამბობ. გარდა ამისა, სამტრედიელი ამომრჩევლის არა მიტოვება და აბუჩად აგდება, არამედ მათი პრობლემების მოსმენა და მოგვარება, მათ გვერდით დგომა და მათი სატკივრის გულთან მიტანაა ჩემი გადაწყვეტილება.

**_ ხომ არ შეგიშლით ხელს პარლამენტარობა თქვენს ძირითად საქმიანობაში?**

_ პარლამენტარობა ადამიანს ხელს არც ექიმობაში უშლის და არც მასწავლებლობაში, არანაირ პროფესიაში. პირიქით, შემიწყობს კიდეც, ასე უფრო ხელმისაწვდომი იქნება ჩემს პროფესიაში არსებული რიგი პრობლემური საკითხების მოგვარება, მექნება მეტი ბერკეტი, გაჭირვებულ ადამიანებს, სამტრედიელებს მეტად დავეხმარო.

**_ კანონშემოქმედებითი ორგანოა პარლამენტი. თქვენ არ გაქვთ იურიდიული განათლება. რამდენად შესძლებთ დაკისრებულ მოვალეობებზე თავის გართმევას?**

_ მაგ პრინციპიდან გამომდინარე, ყველა იურისტი უნდა იჯდეს პარლამენტში. რაც შეეხება კანონშემოქმედებას, უშუალოდ მაქვს წვლილი შეტანილი ტრანსპლანტაციის კანონის მიღებაში.

**_ როგორც ამბობენ, მერაბ ჯანელიძეს თანხაც კი შესთავაზეს იმისთვის, რომ კანდიდატურა მოეხსნა. სიმართლეა?**

_ რასაც ვერ დაამტკიცებ, ის უკვე ჭორაობაა, ამიტომ ამ კითხვაზე არ გიპასუხებთ!

**_ დღეს სად მოღვაწეობს და რას აკეთებს მერაბ ჯანელიძე?**

_ მოღვაწეობა ხმამაღალი ნათქვამია, მე ვფიქრობ, რომ ვშრომობ. ვმუშაობ ერთდროულად რამდენიმე საავადმყოფოში. ვაკეთებ გეგმიურ ოპერაციებს, ძირითადად, ონკოლოგიური კუთხით. აგრეთვე, ვმუშაობ ტრანსპლანტაციის, ანუ ორგანოთა გადანერგვის სფეროში. მიწვევა მაქვს ჩემს ყოფილ სამსახურში, მინსკის ტრანსპლანტაციის ცენტრში, რომელიც ევროპაში ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება და სამეულში შედის. ამჟამად ვმუშაობ თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალ კლინიკაში, ჟვანიას სახელობის ბავშვთა კლინიკაში, წმინდა იოანე მოწყალეს სახელობის კლინიკაში, მაღალი ტექნოლოგიების სამედიცინო ცენტრში, ბათუმის თურქულ ჰოსპიტალში, "ჯეოჰოსპიტალსის" სამტრედიის საავადმყოფოში.

**_ თქვენი დამოკიდებულება სხვა კანდიდატებთან როგორია?**

_ ძალიან ნორმალური. მივესალმები მათ და იმას, რომ არსებობს არჩევითობის პრინციპი და ამომრჩეველი თავად გააკეთებს არჩევანს.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

# გავძლებთ 8 ოქტომბრამდე

**თეა ბაბუნაშვილი**

ბანი ამჯერად სამტრედიაში მისცეს და პოლიტიკურ არენაზე მოულოდნელად გამოსული პაატა ბურჭულაძე სამტრედიაში ამომრჩევლებთან შესახვედრად ჩამოვიდა. მართალია, ეროსი მანჯგალაძის სახელობისაა, მაგრამ, მისთვის მაინც პატარა სცენა მსოფლიო ბანს სავსე დარბაზით დახვდა. პოლიტიკური გაერთიანება "პაატა ბურჭულაძე _ სახელმწიფო ხალხისთვის" რამდენიმე სუბიექტის ერთობით შეიქმნა და წინასაარჩევნოდ ამომრჩევლის ყურადღება მიიქცია. სანამ სამტრედიაში საკუთარ კანდიდატს თავად წარადგენდა, გაერთიანების ლიდერი ზოგადად საუბრობდა ქართული პოლიტიკის მისეულ ხედვაზე, მისი და საკუთარი თანამოაზრეების გეგმებსა და პერსპექტივაზე. უკვე დაშლილი ქართულად მეოცნებე კოალიციის შემდეგ, "სახელმწიფო ხალხისთვის" კიდევ ერთი პარტიათა ჯგუფია, არა მხოლოდ გაერთიანებით რომ მიიპყრო ამომრჩევლის ყურადღება. დეპუტატობის კანდიდატის, პაატა მანჯგალაძის წარდგენის შემდეგ, მსოფლიოს დიდ სცენებზე შინაურ და პატარა სამტრედიულ სცენაზე სტუმარ ცნობილ ბანს რამდენიმე კითხვა სახელდახელოდ დავუსვით.



**_ ბევრს აწვალებს კითხვა, რაში სჭირდებოდა პაატა ბურჭულაძეს პოლიტიკაში მოსვლა...**

_ ამას ბევრი კი არა, ყველა მეკითხება. მეც ყველას ვპასუხობ და ახლაც ვიმეორებ, არავინ იცის, მათ შორის მეც, რამდენი დარჩენია სიცოცხლე, ერთი თუ ათი წელი. მინდა, ჩემი მისია ამ ქვეყანაზე იმით შევასრულო, რომ შეძლებისდაგვარად ნაკლები გაჭირვებული იყოს საქართველოში. მილიონ ორასი ათას ადამიანზე მეტი დღეს ფაქტობრივად შიმშილობს. ჩვენ მოვდივართ, რომ ოთხ წელიწადში ამგვარი პრობლემები აღარ იყოს.

**_ პაატა ბურჭულაძის პარტიის რიგები დატოვაო, თქვენი პარტიის არა ერთ წევრზე ამბობენ და სულ უფრო ხშირად. რატომ გტოვებენ ბატონო პაატა და თუ გტოვებენ, გამარჯვების რა შანსი გაქვთ?**

_ ეს მიზანმიმართული კამპანიაა ჩვენს დასაკნინებლად. თუმცა, ცხადია, ამას ვერ მიაღწევენ. თუ რაღაც მოხდა და ორმა კაცმა დაგვტოვა, ათასობით ადამიანი გვიერთდება. 8 ოქტომბრამდე გავძლებთ და მერე ნახავთ, რამდენი მხარდამჭერი ჰყოლია "პაატა ბურჭულაძე _ სახელმწიფო ხალხისთვის".

**_ "ქართული ოცნება", "ნაციონალების" და პირიქით, "ნაციონალები" "ოცნების" "პროდექტად" მოგიაზრებენ. სინამდვილეში ვისი პროდექტია. პაატა ბურჭულაძის პარტია?**

_ თქვენი, ხალხის, ამომრჩევლის! დამაბრალონ რაც უნდათ! ივანიშვილმა დამაბრალა ფული მომთხოვაო. ამისთვის მას საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოვთხოვე. რას იზამთ, ვუძლებთ ამას!

**_ გეტყობათ, უცილობლად ვარაუდობთ გამარჯვებას...**

_ აუცილებლად! ჩვენ გავიმარჯვებთ! ჩვენ მოვდივართ! მთელი საქართველო ჩვენს გვერდშია!

უფასო პოლიტიკური რეკლამა

# უნდა აღვადგინოთ ქვეყნის პრესტიჟი და ღირსება

**ნინო ნანიტაშვილი**

"საჭირო იყო 25 000 ხელმოწერა. 62 000 შევაგროვეთ, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი გუნდი ხალხს სჭირდება. ბევრი რამ, რაც ქვეყანაში ხდება და რაც არ მოგვწონს, ცუდი კანონების გამოა. ჩვენ არ გვინდა ვიყოთ პირველი, მეორე, მაგრამ გვინდა, კუთვნილი ადგილი გვქონდეს საქართველოს პარლამენტში და ქვეყნის გადარჩენისათვის კანონშემოქმედებით, მშვიდობიანად ვიბრძოლოთ". _ ამ სიტყვებით მიმართა დავით თევზაძემ თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე პარტიის ოფისში შეკრებილ მხარდამჭერებს. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დამსწრე საზოგადოებას მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების "დავით თევზაძე _ საქართველოს მშვიდობისათვის" საარჩევნო პროგრამა წარუდგინა "შენი ღირსება, პროფესიონალიზმი, წესრიგი" _ ამ სლოგანით დავით თევზაძის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს მიმართავს:

"თქვენ უმძიმესი 24 წელი გაიარეთ საქართველოს ისტორიისა და შეინარჩუნეთ ყველაზე მთავარი, რითაც ღმერთმა ადამიანი დააჯილდოვა _ ღირსება და თანადგომის უნარი.

თქვენ შეარყიეთ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არსებული ყველაზე ძლიერი იმპერიის საძირკველი და ქვეყანას აღუდგინეთ დამოუკიდებლობა.

თუ არა თქვენ, ვერავინ ცალკე აღებული პიროვნება ამას ვერ შეძლებდა.

თქვენ გადაიტანეთ სამი უმძიმესი ომი, და თუ არა თქვენი გაუტეხავი სული, დღეს ჩვენ არ გვექნებოდა სამშობლო, მართალია, დაჭრილ-დაჩეხილი, მაგრამ მაინც სამშობლო, რომელიც მომავლისკენ იმზირება.

თქვენმა მოთმინებამ შეძლო 9 წლიანი დიქტატურის ლოგიკურ წერტილამდე მიყვანა და თუ არა ეს მოთმინება, ვერავინ და ვერანაირი რესურსი ვერ მოიტანდა 2012 წლის შემოდგომაზე გამარჯვების განცდას, რომელიც დღესაც იმედით გვამყოფებს.

თქვენ უდავოდ მეტს იმსახურებთ.

თქვენ იმსახურებთ:

რეალურ და არა მოჩვენებით სამართლიანობას,

რეალურ და არა მოჩვენებით დასაქმებას,

რეალურ და არა მოჩვენებით განათლებას, უსაფრთხოებას, წესრიგს.

თქვენ უდავოდ იმსახურებთ, რომ თქვენი ხელისუფლება იყოს სამართლიანი, ძლიერი, გულისყურიანი, პროფესიონალი, საზოგადო საკუთრად არ მიიჩნიოს, თქვენ არ გთვლიდეთ მსახურებად, ხოლო სახელმწიფო სამსახურს _ მემკვიდრეობით ბოძებულ ღირსებად.



თქვენ უდავოდ იმსახურებთ მყარ და მშვიდობიან გარემოს თქვენი შვილებისათვის, რომ ქვეყანას ჰქონდეს განვითარებისა და წინსვლის საშუალება".

დავით თევზაძემ ამომრჩევლთან შეხვედრაზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს მშვიდობისათვის" შექმნის მიზეზები განმარტა:

"საქართველოს გაუჩნდეს ხანგრძლივი მშვიდობიანი განვითარების პერსპექტივა და სახელმწიფომ შეძლოს მოქალაქეთათვის თავისუფალი, მშვიდი, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

რომ თაობას, რომელიც მომავალ ათწლეულში ჩვენი თაობისაგან ქვეყნის მართვას დაიბარებს, შეეძლოს თავისუფლად ორიენტირება იმ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც დახვდება.

რომ შევქმნათ საზოგადოებაში კანონიერებისა და წესრიგის ატმოსფერო.

რომ აღვადგინოთ ქვეყნის საგარეოპოლიტიკური პრესტიჟი და ღირსება.

იმ გამოწვევების ფონზე, რომელიც დღეს სახელმწიფოს წინაშე არსებობს, პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს მშვიდობისათვის" მიზნად ისახავს:

თქვენთვის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობის რეალიზაციას;

თქვენი შვილების ღირსეული ცხოვრების საკანონმდებლო უზრუნველყოფას;

თითოეული მოქალაქის თავისუფლების და უფლებების დაცვას;

კანონის წინაშე თანასწორობას".

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში რატომ უნდა დაუჭიროს ახალ პოლიტიკურ გაერთიანებას მხარი ამომრჩეველმა, სამტრედიაში ამაზე მკვეთრად გამოხატული პოზიცია გააჩნიათ. 23 სექტემბრის შეხვედრის მონაწილეების უმრავლესობა ღიად აფიქსირებდა დავით თევზაძის პარტიის მიმართ მხარდაჭერას.

"დავით თევზაძე _ საქართველოს მშვიდობისათვის" სამტრედიაში საარჩევნო შტაბის თავმჯდომარემ კლიმენტი თევზაძემ შეხვედრის ბოლოს მხარდამჭერებს ბროშურები დაურიგა.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

თეა ბაბუნაშვილი

# ჩემი არჩევის შემთხვევაში

*ნაფალაურის არასრული სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა ჯერ ექსპერიმენტალურ მუსიკალურ ათწლედში განაგრძო, შემდეგ მუსიკალურ ტექნიკუმში. თუმცა, კონსერვატორიაში სწავლის გაგრძელების მაგიერ პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა ფატი მანჯგალაძემ, ირაკლი ალასანიას პოლიტიკური პარტიის "თავისუფალი დემოკრატები" მაჟორიტარობის კანდიდატმა სამტრედიაში. გიორგი იოსელიანზე გათხოვების შემდეგ სამტრედიაში, როგორც დედულეთში, სტუმრად ჩამოდიოდა. ორი ვაჟის, მამია და გივი იოსელიანების დედა, პირველი არხის მუსიკალური გადაცემების რედაქციაში მუშაობიდან 10 წელზე მეტი ხნის შემდეგ ძალების მოსინჯვას პოლიტიკაში აპირებს, სამტრედიელებს თავს ახსენებს და ჩვენს კითხვებს პასუხობს. მასზე გარკვეული წარმოდგენა რომ შეგიქმნათ, თავიდანვე გეტყვით, რომ "არალირიული გადახვევა" პროფესიის არჩევაში, მუსიკალური სასწავლებლიდან ე. წ. "გეპეიში" სწავლის გაგრძელება, როგორც ქალბატონი ფატი ამბობს, იმით აიხსნება, რომ "ბავშვობიდან პრაქტიკული ადამიანი ვარ. არ მინდოდა, მხოლოდ მუსიკის პედაგოგად დავრჩენილიყავი".*

*მის პოლიტიკურ არჩევანზე მასთან გასაუბრებიდან შეიტყობთ.*

**– რა პრიორიტეტის გამო გახდით ალასანიას თანამოაზრე, რატომ მიიქცია მისმა პოლიტიკურმა შეხედულებებმა თქვენი ყურადღება?**

– ჩემთვის მისაღები და საინტერესოა იმ ადამიანების თანამოაზრეობა, ვისაც ამერიკული ორიენტაცია, ნატოსკენ სწრაფვა აქვს. ჩემთვის მისაღებია საქართველოს დაბრუნება ევროპულ ოჯახში. მამას, მიუხედავად იმისა, რომ საპასუხისმგებლო პოსტები ეჭირა, არ უყვარდა კომუნისტები, მათდამი ანტად იყო განწყობილი.

**– თვლით, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას ევროპულზე მეტად კომუნისტური მისწრაფებები აქვს, თუ რატომ გახდით ირაკლი ალასანიას თანამოაზრე, მხოლოდ ევროპულ-ამერიკული ორიენტაციის გამო?**

– მე ეს არ მითქვამს. უბრალოდ, იმ 70 წელს ყოველთვის აპროტესტებდა ჩემი ოჯახი. გარდა ამისა, ირაკლი ალასანიასა და მის გუნდზე არჩევანი უშუალოდ ალასანიასა და მისი თანამოაზრეების სუფთა წარსულის გამო გავაკეთე. ეს გუნდი ერთადერთია, ვინც საქართველოს გადაარჩენს.



**– მისი მხარდამჭერი მაშინაც ბრძანდებოდით, როცა იგი "ქართული ოცნების" კოალიციის წევრი იყო?**

– დიახ, ვიყავი! კოალიციის დაშლის შემდეგ კვლავ მის თანამოაზრედ ვრჩები.

**– მაჟორიტარობის არაერთი კანდიდატის საპირწონედ, თქვენ რას პირდებით სამტრედიელ ამომრჩეველს?**

– ძირითადად, ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულებას, მოწესრიგებას. უპირველესი პრობლემა სამტრედიისთვის, ისევე როგორც მთელი ქვეყნისთვის, დასაქმებაა. თუმცა, ინვესტორების მოსაზიდად აუცილებელია ხელსაყრელი და მოწესრიგებული ბიზნესგარემო გამართულ ინფრასტრუქტურასთან ერთად. სამტრედიაში მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული მხოლოდ ქალაქის ცენტრალური ნაწილია. მისი პერიფერიები და სოფლები, აუცილებლად საჭიროებს ყურადღების მიქცევას. მისახედია სოფლებში ამბულატორიები, პირველადი გამოკვლევები უფასოდ ჩატარდება სოფლებში.

**– საკანონმდებლო ორგანოში კანონშემოქმედებით მუშაობას რამდენად შესძლებთ, გაქვთ ამის ბაზა? მოგეხსენებათ, პარლამენტი უპირველესად საზოგადოებისთვის მისაღებ, მორგებულ კანონებს უნდა ქმნიდეს.**

– მე საზოგადოების ინტერესებიდან ამოვალ. მოტივირებული ვარ იმაზე, რომ აქაურობას და აქაურებს დავეხმარო ნებისმიერი პრობლემების მოგვარებაში. ჩვენ ვართ გუნდი, რომელიც არავის ვთხოვთ პასუხს განვლილ ოთხ და იმის წინა ცხრა წელზე. ჩვენ საკუთარ თავზე ვიღებთ პასუხისმგებლობას და მას პირნათლად შევასრულებთ!

**– საუბარში მამა რამდენჯერმე ახსენეთ, ვინ იყო იგი?**

– მამა, დასავლეთ საქართველოს სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელი იყო. შემდეგ სამტრედიის საფეხბურთო გუნდს "ლოკომოტივი" ჩაუდგა სათავეში. 1960 წელს სწორედ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გახდა იგი ქალაქ მიჩურინსკში სსრკ თასის მფლობელი. ამას მისი მეგობარი, ლეგენდარული ფეხბურთელი გრიშა დოლიძეც დაგიდასტურებთ. მერე სამშენებლო სისტემაში მუშაობდა. 42 წლის წინ, მამამ დააგო ფარნავაზის ქუჩაზე ასფალტი და დღესაც იგივე საფარია იქ. რომ გაწვიმდება, ქუჩიდან ქუჩაზე ვერ გადახვალ სამტრედიაში! მამების დაწყებული საქმე შვილებმა უნდა გააგრძელონ და მეც ამას ვცდილობ, თუ ამომრჩეველი საშუალებას მომცემს!

**– გაქვთ გამარჯვების იმედი?**

– მაქვს!

ქეთევან ჭელიძე

# მივიღოთ გააზრებული, სწორი გადაწყვეტილება

***არჩევნებამდე დარჩა 8 დღე!***

***სავარაუდოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 50 უბანზე 46 961 ამომრჩეველი მისცემს ხმას. 8 მაჟორიტარობის კანდიდატი მოსახლეობას კარდაკარ აცნობს თავის პროგრამას და უკეთეს ხვალინდელ საქართველოს, სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს ჰპირდება. პოლიტიკური ტემპერატურა პიკს აღწევს და მხარდამჭერებიც განსაკუთრებით აქტიურობენ. ადამიანების უმეტეს ნაწილს უკვე გადაწყვეტილი აქვს, ვის მისცემს ხმას. არიან ისეთებიც, რომლებიც საარჩევნო ყუთთან მიიღებენ გადაწყვეტილებას. "სამტრედიის მაცნეს" წინასწარი მონაცემებით არჩევნებზე მაღალი აქტივობა იქნება. რას მოგვიტანს მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები? რას შეცვლის იგი ქვეყანაში და რამდენად აისახება ყოველივე ჩვენს მუნიციპალიტეტსა და სამტრედიელებზე, დრო გვიჩვენებს.***

***წინასაარჩევნოდ რამდენიმე კითხვით მივმართეთ მოსახლეობას და მათი პოზიცია შეძლებისდაგვარად დავაფიქსირეთ.***



**თამარ ნიკურაძე – ფრანგული ენის მასწავლებელი:**

რა თქმა უნდა, მივდივარ, არჩევნებისგან ველი მშვიდობას, კეთილდღეობას, წინსვლასა და წარმატებებს ყველა სფეროში.

**ლალი ბარათელი – SOS აღმზრდელი:**

წავალ არჩევნებში, რადგან ჩემი ქვეყნის მომავალი ყოველთვის მაღელვებს. ჩემთვის მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური სტაბილურობა. ამიტომ ხმას მივცემ იმ პარტიას, ვინც მიმაჩნია ამის გარანტად.

**მანანა ტონია:**

არჩევნებში ხმას ვის მივცემ, არ მაქვს გადაწყვეტილი. არავის ვენდობი, ყველა თავისკენ იქაჩება. არჩევნებიდან არაფერ სიკეთეს ველი. ვინც არ უნდა ავირჩიოთ, ხალხის საშველი მაინც არ იქნება. ყველაფერი ისევ ისე დარჩება და კიდევ უარესად.

**ზინა ქათამაძე – ემიგრანტი:**

რწმენა დაკარგული მაქვს, არ ვიცი წავალ თუ არა არჩევნებზე. არ მგონია, ვინმემ ხალხისთვის რაიმე კარგი გააკეთოს. ყველა ვინც ხელისუფლებაში მოდის, მხოლოდ მისიანებისთვის არიან. ჩვენ გვიყენებენ, ხმები რომ დავუგროვოთ. რაც უნდათ და რაც არის გადაწყვეტილი, უკვე იციან.

შევარდნაძე ხალხს ბრბოს გვეძახდა, ახლა სააკაშვილს და მისიანებს აქვთ პრეტენზია, არ რცხვენიათ?

**ზაზა ვაშაკიძე:**

აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას არჩევნებში. იგი ქვეყნისთვისაა ყველაზე მნიშვნელოვანი, განსაზღვრავს, თუ როგორ განვითარდება ქვეყანა. თუმცა, ძირეულ ცვლილებებს არ ველოდები.

**ვალერი თევზაძე:**

ალბათ წავალ. არჩევნებისგან ცვლილებას ველი უკეთესობისკენ, თუმცა მაინც ეჭვი მეპარება. უკან დაბრუნებაც არ მინდა.

**ლელა ლეკვეიშვილი – ეკონომისტი:**

მივდივარ არჩევნებზე, ეს ჩემი მოქალაქეობრივი ვალდებულებაა. ხმას ვაძლევ მშვიდობას, ქვეყნის სტაბილურობას, უკეთესს მომავალს. კარგი განათლება ახალგაზრდებს, ადამიანებს დასაქმება, კეთილდღეობა. მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება... მე გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ. ყველამ ჩვენ ჩვენი საქმე ვაკეთოთ. ბოღმა და შური ახრჩობს ადამიანს. ამიტომ თითოეულმა იმ სფეროს მივხედოთ, სადაც კომპეტენტურები ვართ.

**კახა ნადირაძე – არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო საზოგადოება მდგრადი განვითარებისათვის" აღმასრულებელი დირექტორი:**

არჩევნებზე მისვლა ყოველი ადამიანის მოვალეობაა. მათ ამის უფლება აქვთ. მოვალეობაა საკუთარი მომავლის წინაშე. ხმის მიცემა გამოხატავს პასუხისმგებლობის აღებას და ჩართულობას ქვეყნის მშენებლობაში. ხმას მივცემ სტაბილურ და მუდმივად განვითარებად ხვალინდელ დღეს. არჩევნებისგან მხოლოდ იმას უნდა ველოდოთ, რაც ჩვენი რჩეული პარტიის პროგრამაში წერია, ამიტომაც ხმის მიცემამდე აუცილებლად გავეცნოთ საარჩევნო პროგრამებს, ავწონ-დავწონოთ მათში წარმოჩენილი ფასეულობები და მივიღოთ გააზრებული, სწორი გადაწყვეტილება.

**გოგიტა გიორგაძე:**

მივდივარ არჩევნებზე იმ იმედით, რომ მომავალი ხელისუფლება დაფიქრდება, მოსახლეობის ყოფითი პრობლემები მეტად რომ არის გასაუმჯობესებელი. ღვთის წყალობით, საქართველოს ისეთი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს, ყოველმხრივ დაჯილდოვებული მთით, ბარით თუ ზღვით, მეტი პერსპექტივა უნდა გაჩნდეს, მეტი სამუშაო ადგილი. ის გულდასაწყვეტი ფაქტი, რასაც ემიგრაცია თუ მიგრაცია ჰქვია, ნაკლებად დაემუქრება ჩვენს ქვეყანას. თუ მთიდან წამოსულ მოსახლეობას არ დავაბრუნებთ მთაში და არ დავუბრუნდებით სოფლის მეურნეობას, საქართველო შორს ვერ წავა. ქალაქი სოფლით უნდა იყოს ძლიერი და პირიქით.

მინდა ხმა მივცე ქვეყანაში თანამედროვე და ხარისხიანი განათლების სისტემას, საჭიროა ადამიანის უფლებების დასაცავად ქმედითი მექანიზმების შექმნა. მე ხმას ვაძლევ საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას. მინდა, რომ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი გახდეს ახლად შექმნილი ოჯახები და მოხდეს მრავალშვილიანების წახალისება.

ადამიანებს უნდა შევუქმნათ საკუთარი ნიჭისა და უნარის გამოვლენის ფართო სარბიელი, რადგან განათლებული მომავალი შექმნის ძლიერ, ქართულ ფესვებზე ამოზრდილ ურყევ ევროპულ მომავალს.

**ლეილა კანდელაკი – ინდმეწარმე:**

აუცილებლად მივდივარ არჩევნებზე. ხმას ვაძლევ სიკეთეს, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას და მომავლის იმედს. ყველა ელოდება არჩევნებისგან ცვლილებას უკეთესობისკენ. ახალმა ხელისუფლებამ დიდად ვერ გაამართლა, მაგრამ იმედია, ჭკუას ისწავლიან.

**ნატო მიქაძე – სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო – სამტრედიის წარმომადგენელი:**

არჩევნების შედეგები ჩვენი მომავალია. ეს იქნება დიდი ნაბიჯი ცხოვრების განვითარებისაკენ. მოგიწოდებთ, ყველანი წავიდეთ არჩევნებზე!

**ინეზა კობახიძე:**

არჩევნებზე აუცილებლად წავალ. ხმას მივცემ რომ ნორმალური მომავალი ექნეს საქართველოს. წინსვლა გვექნეს და რაღაც სასიკეთოდ შეიცვალოს. ხალხი უკანასკნელ დღეშია. ეს კაფე რამდენიმე თვის წინ ვიქირავე და უკვე ვხურავ, ქირა ბევრი მაქვს გადასახდელი, ხალხს კი ფული არა აქვს ხაჭაპური იყიდოს. უბრალოდ 50 თეთრიან ღვეზელს ვერ ყიდულობს და მთხოვს, ნისიად მივცე... ესაა ცხოვრება?! 53 წლის ქალი ვარ. არც ხელფასი მაქვს და არც პენსია. ვნატრობ, როდის გავალ პენსიაში.

**რუსუდან კახიანი – მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკარი:**

ჩემს მოქალაქეობრივ ვალს მოვიხდი და არჩევნებზე წავალ. ეს ყველას ვალდებულებაა. ცვლილებები აუცილებლად გვჭირდება. არასოდეს ჩემი პიროვნული ინტერესები წინ არ დამიყენებია. პირველ რიგში, ქვეყნის მომავალზე უნდა ვიზრუნოთ და მერე, რა თქმა უნდა, ჩვენი ინტერესებიც გავითვალისწინოთ.

**ნანა ჯვარშეიშვილი – ეკონომისტი:**

საქართველოს მომავალს ვაძლევ ხმას. მინდა ჩვენმა შვილებმა მშვიდობიანად და კარგად იცხოვრონ. ახალგაზრდები დასაქმდნენ, ეკონომიკამ წინ წაიწიოს. მშვიდობიანად ჩატარდეს არჩევნები, ექსესებს არ ჰქონდეს ადგილი.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# სამტრედიაში ჩემი გამარჯვებით დამარცხებულები არ იქნებიან!

თეა ბაბუნაშვილი

***"ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო" ქვეყნის მმართველი პარტიის სტატუსით არჩევნებში მონაწილეობის გამარჯვებით დასრულებას გეგმავს. კანდიდატი, სამტრედიელებმა მმართველ პარტიის კვოტით რომ უნდა აირჩიონ, გია მიქელაძეა. ქველმოქმედი ბიზნესმენი მოსინჯავს ძალებს მაჟორიტარი დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად. რამდენად წარმატებული იქნება მისთვის ამჟამინდელი საარჩევნო მარათონი, სულ რამდენიმე დღეში გაირკვევა.***

***ამომრჩეველთან ინტენსიური შეხვედრების მიუხედავად, მისდამი დაგროვილ კითხვებს ჩვენი რესპონდენტი გულწრფელად პასუხობს. ინტერვიუ, რომელიც მასთან ჩაიწერა, კანდიდატის პოზიციასა და სამომავლო გეგმებს აცნობს მკითხველს, რამდენადმე მის პიროვნებაზეც ქმნის წარმოდგენას და ერთგვარ გზავნილადაც შეიძლება ჩაითვალოს.***

დაიბადა 1954 წლის 30 ივლისს. 1977-1983 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. პროფესიით ინჟინერია;

1984-1986 წლებში სწავლობდა ამიერკავკასიის უმაღლეს პარტიულ სკოლასა და სამართალმცოდნეობის უმაღლეს სკოლაში ქ. ბაქოში;

1974-1977 წლებში მუშაობდა თბილისის რკინიგზის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში მუშად;

1977-1989 წლებში მუშაობდა "თბილქალაქმშენსა" და "ტრესინჟმშენში" სხვადასხვა თანამდებობაზე;

1989-1991 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-საპროექტო სამმართველოს უფროსის მოადგილეა;

1991-1992 წლებში იყო კომპანია "ტრანსერვისის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

1992-1996 წლებში საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის საერთაშორისო გადაზიდვებისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამსახურის უფროსად დაინიშნა, შემდეგ _ თავმჯდომარის მოადგილედ;

1996-2003 წლებში ეკავა კომპანია "საქრკინიგზაექსპედიციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა;

2003 წლიდან დღემდე კომპანია "ტრანსერვისის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა;

2004 წელს აირჩიეს ქალაქ სამტრედიის საპატიო მოქალაქედ;

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და შვიდი შვილიშვილი.

_ ვთვლი, რომ "ქართული-ოცნება _ დემოკრატიულმა საქართველომ" სწორად წარმართა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა. დღეს სხვა რეალობაა ქვეყანაში, სხვა პოლიტიკური და ეკონომიკური კურსია აღებული. ჩემი საქმიანობის კაცისთვის ეს მისაღები და საინტერესო გახლავთ. მას შემდეგ, რაც მედია გათავისუფლდა, სადამსჯელო იარაღი აღარ არის პოლიცია და სასამართლო, ბიზნესი აღარ არის ზეწოლის ქვეშ, ქვეყანამ შეცვალა კურსი და მთავარ ღირებულებად ადამიანი იქცა, გადავწყვიტე, საკუთარი ძალები ჩემი ქვეყნის სამსახურისთვის მომესინჯა. მე ვიცი, რას ნიშნავს ქართული ეკონომიკისთვის რუსულ ბაზარზე დაბრუნება და ეს განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისთვის. გაწონასწორებულ, დაბალანსებულ, პარტნიორულ ენაზე საუბრით ამ ქვეყანასთან, პირველ რიგში, საქართველო იხეირებს. ევროკავშირთან ასოცირებულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა დიდი ისტორიული მოვლენაა. საქართველო შევიდა ევროკავშირის 27 ქვეყანასთან ერთად 500 მილიონიან სამომხმარებლო ბაზარზე. აგრეთვე, უდიდეს მიღწევად მიმაჩნია ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის შეთანხმება, რომლითაც სულ რამდენიმე თვეში ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები.

**_ როგორც ბიზნესმენი, თვლით თუ არა, რომ ქვეყნის ეკონომიკური კურსი რამდენადმე შესაცვლელია?**

_ მე ბიზნესში დიდი გამოცდილება და თეორიული ცოდნა მაქვს. ჩემნაირი ადამიანების გვერდით დგომა სჭირდება დღეს ქვეყანას, ისეთი საკანონმდებლო ბაზა სჭირდება, მცირე ბიზნესის განვითარებას ხელს რომ შეუწყობს. საშუალო ფენა არ არის და უნდა დაუბრუნდეს ქვეყანას. ეს რომ არ ხდება, იმიტომ არის, რომ რეფორმების ყველა სიკეთე ჯერ ისევ ვერ მივიდა ხალხამდე. ქვეყნის მთავარი პრობლემა, უმუშევრობა უნდა აღმოიფხვრას და ეს რაც შეიძლება, მალე უნდა მოხდეს.

**_ თქვენ, როგორც ბიზნესმენს, სამტრედიისთვის ბევრი რამ გაქვთ გაკეთებული...**

_ არაერთი პროექტი მაქვს განხორციელებული. ჯერ კიდევ 1992 წლიდან, მაშინ, როცა საქართველოში სამოქალაქო ომი იყო და ძალიან ძნელდებოდა საქართველოს გავლით ტვირთების გადაზიდვაც, ფუნქცია აღვუდგინე "აბრეშუმის გზას". ჩვენს მიერ შეძენილი ნავთობი ევროპის ქვეყნებში საქართველოს გავლით გადიოდა. ამით აქ სერიოზული სავალუტო შენატანი შემოდიოდა. თანდათან ეს დერეფანი კონკურენტუნარიანი გავხადეთ, რამაც ირანისკენ, რუსეთისკენ მიმავალი ტვირთები მოიზიდა. მაქვს სამშენებლო და უძრავი ქონების ბიზნესი, არაერთი სხვა პროექტი, რაც ხალხის დასაქმებას უწყობს ხელს. მაქვს სავაჭრო ცენტრები, ამჯერად ვაშენებ ხუთვარსკვლავიან სასტუმროს და მაქვს კიდევ რამდენიმე სასტუმრო, ასევე, _ სასათბურე მეურნეობა. კულაშის ფაბრიკაში შემოვიყვანე ინვესტორი. იგი ჩემი საწარმოა, რომელიც სამტრედიაში ავამუშავე. საერთო ჯამში ჩემს კომპანიებში 2 ათას კაცზე მეტია დღეს დასაქმებული.

**_ პოლიტიკაში წასვლის შემდეგ როგორ გადაეწყობა ბიზნესმენ გია მიქელაძის სამომავლო გეგმები?**

_ მე მოვდივარ პოლიტიკაში მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნას შევუწყო ხელი, კიდევ უფრო მეტ ინვესტორს რომ მოიზიდავს. მაქვს ძალიან მაღალი საერთაშორისო ბიზნეს კავშირები ევროპისა და აზიის ქვეყნებში. ბიზნესში ნდობის კრიტერიუმი უმთავრესია. იგი აუცილებელია ყველა ქვეყნისთვის, რომ ეკონომიკა განვითარდეს. ქვეყანას უნდა ენდოს ინვესტორი და ინვესტორს _ ქვეყანა.

**_ ჩანს, რომ ქვეყანა გენდობათ თქვენ.**

_ მე მგონი, მენდობა, რატომ არ უნდა მენდობოდეს?! თუმცა, ეს 8 ოქტომბერს უკეთ გამოჩნდება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, მის ფარგლებს გარეთაც, შემიძლია ვთქვა, რომ მენდობიან! მენდობიან ევროპის, აზიის, ისრაელის, რუსეთის ცნობილი ბიზნესმენები. მე არასოდეს გამიტეხია ჩემი ნათქვამი სიტყვა და ამით ნამდვილად მიცნობენ!




**_ კონკრეტულად სამტრედიისთვის რა გააკეთა გია მიქელაძემ?**

_ ამ კითხვაზე პასუხი საკუთარ თავზე საუბარს ნიშნავს. რაც არ არის მთლად მისაღები. მაგრამ, ვფიქრობ, მომიწევს, ეს წინასაარჩევნო მარათონის თავისებურებად ჩავთვალოთ. ოცნება ავისრულე და 100 წელს გადაცილებული ჩემი მშობლიური ხუნჯულაურის არასრული სკოლის ახალი შენობა ავაშენე. 16 წლის წინ დავაგე ნაბაკევი-ხუნჯულაურის, ილორის, წერეთლის ქუჩის 10 კილომეტრამდე ასფალტირებული გზა. ავტოსადგურიდან ვაგზლის მოედნამდე ჩემი მეშვეობით, წლების წინ, რკინა-ბეტონის ფილები დავაგე. დღეს ისეთი ქუჩა აქვს ქალაქს, საუკუნეებს რომ გაუძლებს, ფაქტობრივად, ასაფრენი ბილიკია. გახსოვთ, ალბათ, რა მდგომარეობაში იყო ცენტრალური, დღეს უკვე ყოფილი საავადმყოფო სამტრედიაში, სარემონტო სამუშაოები ჩავუტარე რეანიმაციულ განყოფილებას, აღვჭურვე სათანადო ინვენტარით. აღდგა სამტრედიის მთელ ტერიტორიაზე ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები. ასევე, მოწესრიგდა საძოვრებზე მისასვლელი გზები. დავაფინანსე მრავალი კულტურული და სპორტული ღონისძიება. უკვე აღარ მახსოვს, რამდენი სტუდენტი იყო და რჩება ჩემი პატრონაჟის ქვეშ. საქართველოსა და საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად მათ გადავუხადე თანხა და დღემდე ვუხდი სტიპენდიას. არაერთ ადამიანს დავხმარებივარ, ვისაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონია. სარემონტო სამუშაოები ჩავატარე ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში, გული მწყდება, რომ იდეების გენერატორი, ქართული ბიზნესის პატრიარქი, ნიკო ნიკოლაძე ქართულ სასკოლო პროგრამაში არ არის შეტანილი. ჩვენ ასეთი პიროვნება სხვა არ გვყოლია და მას უფრო ახლოს და საფუძლიანად უნდა ვიცნობდეთ. ერთი სიტყვით, 42 წლის მანძილზე, რაც ბიზნესში ვარ, შემთხვევა არ მქონია, სამტრედიას და სამტრედიელებს გვერდით არ დავდგომოდი.

**_ 2003 წელს, როცა თქვენ მაჟორიტარობის კანდიდატი ბრძანდებოდით და თქვენი მოწინააღმდეგე ზვიად ძიძიგური გახლდათ, მოგეხსენებათ, ეს ის პერიოდია, "ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლებაში რომ მოვიდა, საარჩევნო კომისიის მიერ რამდენიმე ოქმი დაიწერა თქვენს საწინააღმდეგოდ...**

_ ოქმები ყოველთვის იწერება არჩევნებზე. აბა, რა მახსოვს, 2003-ში რა ოქმი დაიწერა!

**_ პარლამენტარის ამპლუაში რა იქნება პრიორიტეტი გია მიქელაძისთვის?**

_ მთავარია, შეიქმნას ისეთი საკანონმდებლო ბაზა, მცირე მეწარმეს სულს რომ მოათქმევინებს. განსაკუთრებით სოფლის მეურნეობასთან მიმართებაშია იგი დასახვეწი. ეს სფერო რომ აღორძინდეს, მასთან მიმართებაში საბანკო-საკრედიტო სისტემა უნდა შეიცვალოს, უპროცენტო კრედიტები რამდენიმე წლით უნდა გაიცეს. ასეული მილიონი უჯდება ქვეყანას უფასოდ ხვნა, მაგრამ ამის გარდა, მოსავლის აღებამდე მრავალი პროცესია გასავლელი, და, რა თქმა უნდა, მოსაძიებელია გასაღების ბაზარი. ამ პრობლემების მოგვარებაში უპროცენტო სესხით უნდა დაეხმაროს სახელმწიფო გლეხს და მერე გადაუხადოს. მუდმივად სახელმწიფოზე არ უნდა იყოს ჩამოკიდებული იგი.

**_ 42 წელია, ბიზნესში ვარო, ბრძანეთ, სამტრედიის პარალელურად დედაქალაქში ცხოვრობთ და მოღვაწეობთ. აქ, სამტრედიაში ვინ იყო გია მიქელაძე?**

_ ხუნჯულაურის არასრული სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა კონსტანტინე მკურნალის საშუალო სკოლაში გავაგრძელე. მერე პროფესიული სასწავლებელი და რკინიგზის საღამოს სკოლა დავასრულე. დიდ დროს "ნახალოვკაში" მაშინდელ რკინიგზის კლუბში ვატარებდი, ვუკრავდი და ვცეკვავდი, ბავშვებს ვასწავლიდი. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მინდა მოვიგონო რკინიგზის კლუბის მაშინდელი დირექტორი კოლია კაკაბაძე. მაშინდელი შეძენილი კარგი მეგობრებია ბეჟან გოგია, ნოდარ გაგუა, ლევან თავაძე, მერაბ სტურუა, ჩემი დიდიმი, პაატა სტურუები, მყავდა ფეხბურთელი მეგობარი ბადრი ბაკურაძე, დემურ სტურუა. ფეხბურთს ვთამაშობდი ძალიან კარგად, სამტრედიის ნაკრებში ამიყვანეს. ერთი სიტყვით, ძალიან მიზანდასახული ვიყავი და მივაღწიე იმას, რასაც მივაღწიე.

**_ საზოგადოება მიეჩვია, რომ არჩევის შემდეგ დეპუტატის ნახვა ძნელი ხდება რაიონში, ნაკლებია მისი შეხვედრები ამომრჩეველთან. ეს ისტორია თქვენს შემთხვევაშიც ხომ არ განმეორდება?**

_ ეს ეტყობა კიდეც საზოგადოებას, არ სჯერათ, რომ ნაარჩევნებს კიდევ ნახავენ მათ მიერ არჩეულ მაჟორიტარს. მაგრამ მე 42 წელია მივეჩვიე, რომ ანგარიშს ვაბარებ ხალხს იმაზე, თუ რა გავაკეთე. ასე რომ, გაკეთებულზეც, დაპირებულის ასრულებაზეც მოვუყვები მათ და იმაზეც, რაც ვერ გავაკეთე და რატომ ვერ გავაკეთე.

**_ რა არის ის, რაც არ მოგწონთ ხელისუფლების?**

_ მეტის გაკეთება შეიძლებოდა! კოალიციურობამ გამოიწვია ის, რომ თანამდებობებზე არაკვალიფიციური კადრებიც მოხვდნენ. ამიტომ ვერ მივიღეთ სათანადო შედეგები, თუმცა ვთვლი, რომ ქვეყანა ინსტიტუციურად წინ წავიდა. ჩემთვის შემრიგებლობაა მისაღები. ამ ხელისუფლებასაც რომ ისე გამოეყარა ხალხი სამსახურებიდან როგორც წინას, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა! 27 ათასი კაცი ჩასვეს ციხეში! შურისძიების აპოგეა იყო. კანონის წინაშე და კანონიერად უნდა აგოს პასუხი დამნაშავემ. 5 მილიონიან საქართველოში მილიონ-ნახევარზე მეტი კაცი გადახვეწილი რომ არის, რა შურისძიებაზეა საუბარი! ისრაელის პრემიერ-მინისტრი რატომ დაიჭირეს იცით? უკანონო მიშენებაზე გასცა ნებართვა. ვიცი, ახლა გამოდის საგადასახადო ამნისტია 2013 წლამდე ჩადენილი დანაშაულებისათვის. ეს ძალიან კარგი გადაწყვეტილება იქნება, რადგან 2012 წლამდე ამ კუთხით ბევრი დაისაჯა უკანონოდ!

**_ ოპონენტებთან რა ურთიერთობა გაქვთ?**

_ დავიწყებ იმით, რომ პაატა ბურჭულაძესთან ერთად დავაარსე ფონდი "იავნანა". ასევე, ვმონაწილეობ მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობაში. რაც შეეხება მერაბ ჯანელიძეს, მე მასთან მაქვს ძალიან კარგი ურთიერთობა. გარწმუნებთ, ჩემი გამარჯვებით სამტრედიაში დამარცხებულები არ იქნებიან.

**_ გამარჯვების იმედი რამდენად გაქვთ, თუმცა, წინ რა დაგიდგებათ, ბატონო გია?**

_ ამას ხალხი გადაწყვეტს, მაგრამ ხალხში ნდობა უნდა აღდგეს, რომ დაპირებულს შეუსრულებენ. სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ჯანდაცვის სფეროში. უნიკალურია და საუკუნის გამოწვევაა "ქართული ოცნებისთვის" და მთელი საქართველოსთვის საყოველთაო დაზღვევა. უნიკალურია ისიც, რომ სულ მალე ქართულ გენოფონდს C ჰეპატიტის პრობლემა აღარ ექნება.

წელს მართლაც თავისუფალია არჩევნები, არავინ არავის აძალებს, მიქელაძე აირჩიეთო. ჩემი არჩევის შემთხვევაში ვეცდები, სწრაფად განვავითაროთ ჩვენი რაიონი, რათა კეთილდღეობა და სიკეთე თითოეული სამტრედიელის ოჯახში შევიდეს. პარლამენტარის მანდატი ამ მიმართულებით მეტის გაკეთების შესაძლებლობას მომცემს, რათა ჩვენ, ყველამ ერთად უკეთესად გავაგრძელოთ ჩვენი რაიონის მოვლა-პატრონობა, შევქმნათ მეტი საწარმო, დავასაქმოთ რაც შეიძლება მეტი ადამიანი და სამტრედია საქართველოში ერთ-ერთ სამაგალითო მუნიციპალიტეტად ვაქციოთ.

# კოპიტნარის აეროპორტი "ვიზეარის" საავიაციო რუკაზე

ნინო ნანიტაშვილი

***ავიაკომპანია "ვიზეარიმ", რომელიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში უმსხვილესი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიაა, 2016 წლის 23 სექტემბერს საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში 25-ე ბაზის გახსნა აღნიშნა.***

***ავიაკომპანიამ მოახდინა თავისი ერთ-ერთი ახალი Airbus A320 ტიპის თვითმფრინავის ბაზირება ქუთაისის აეროპორტში და დამატებით დაიწყო 7 ახალი დაბალტარიფიანი მიმართულებით ოპერირება: ბერლინი, დორტმუნდი და მიუნხენი გერმანიაში, ლარნაკა კვიპროსზე, მილანი იტალიაში, სოფია ბულგარეთში და სალონიკი საბერძნეთში.***

ახალი ავიამიმართულებების ჩათვლით, "ვიზეარი" თავის მომხმარებელს ახლა უკვე 8 ქვეყნის ავიამიმართულებას სთავაზობს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან. ავიაკომპანია ასევე თავის მგზავრებს სთავაზობს 70 სხვადასხვა მიმართულებას ბუდაპეშტის, კატოვიცეს, სოფიას, ვილნიუსის და ვარშავას ბაზებიდან, რაც ქართველ მომხმარებელს საშუალებას მისცემს, იმოგზაუროს მთელ ევროპაში "ვიზეარის" ყველაზე დაბალი ფასებით.

პირველი ავიარეისი ქუთაისიდან 2012 წელს შესრულდა და მას შემდეგ საქართველოს მიმართულებაზე 600 000-ზე მეტმა მგზავრმა ისარგებლა ავიაკომპანიის რეისებით.

23 სექტემბერს ქუთაისში ბაზის გახსნა "ვიზეარიმ" 20 პროცენტიანი ფასდაკლებით აღნიშნა. ფრენამდე კოპიტნარის დავით აღმაშენებ-



ლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში გამართულ პრესკონფერენციაზე უცხოური ავიაკომპანიის ფინანსურმა დირექტორმა, ოვენ ჯონსმა განაცხადა: "სიამაყით აღვნიშნავთ დღევანდელ საზეიმო ღონისძიებას, რომელიც ეძღვნება "ვიზეარის" 25-ე ბაზის გახსნას საქართველოში. ქუთაისი ჩვენს საავიაციო რუკაზე 2012 წელს გამოჩნდა და მას შემდეგ ნახევარ მილიონზე მეტი მგზავრი გადავიყვანეთ დაბალტარიფიან მიმართულებებზე, რითაც ხელს ვუწყობდით როგორც ადგილობრივ ტურისტულ და საავიაციო სფეროს, ასევე ბიზნესურთიერთობების განვითარებას საქართველოსა და ევროპას შორის. ჩვენი ახალი ბაზის დაფუძნებამ ადგილობრივ ბაზარზე დამატებით შექმნა სამუშაო ადგილები როგორც "ვიზეარში", ასევე, ჩვენს პარტნიორ კომპანიებში. ამასთან, მომხმარებლებს მიეცათ უფრო მეტი შესაძლებლობა, იმოგზაურონ 70-ზე მეტი მიმართულებით ქუთაისიდან ბუდაპეშტის, კატოვიცეს, სოფიას, ვილნიუსისა და ვარშავის ბაზების გავლით. ქუთაისის აეროპორტთან წარმატებული თანამშრომლობის შედეგად ჩვენ ვაგრძელებთ ქართველი მომხმარებლისთვის ევროპის მიმართულებით ავიარეისების შეთავაზებას ყველაზე დაბალი ფასებით. სპეციალურად შერ-




ჩეული ქართული გუნდი უზრუნველყოფს დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს, რომელსაც მიიღებს თითოეული მგზავრი ჩვენი ახალი Airbus A320 ტიპის ხომალდით მგზავრობისას".

"ვიზეარი" 2016 წლის 31 მარტს დასრულებული ფინანსური წლის მონაცემებით 20 მილიონზე მეტმა მგზავრმა აირჩია. ავიაკომპანია დარეგისტრირებულია საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციის წევრად და აღიარებულია ოპერირების უსაფრთხოების აუდიტის მიერ. წამყვანი საავიაციო ჟურნალის Aim Transport World-ის რედაქტორების მიერ ავიაკომპანია "ვიზეარი" 2016 წლის საუკეთესო დაბალბიუჯეტიან ავიაკომპანიად დასახელდა. ყველა ავიარეისი სრულდება 180 ადგილიანი და 230 ადგილიანი ხომალდებით. ფრენამდე კოპიტნარის აეროპორტის დარბაზში შოუ გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხიარული ჯამბაზები, პანტომიმის თეატრის მსახიობები.

პირველი რეისი 23 სექტემბერს დღის მეორე ნახევარში განხორციელდა. მგზავრთა უმრავლესობა უცხოელი ტურისტი იყო, ქართული ეროვნული კულტურის გაცნობისთვის ხალხური ცეკვები შესრულდა.

აეროპორტისა და ავიაკომპანიის წარმომადგენლებთან ერთად სადღესასწაულო გახსნას ესწრებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები, იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია და გამგებლის პირველი მოადგილე დავით ბახტაძე.

საქართველოში, კერძოდ, სამტრედიის სიახლოვეს "ვიზეარის" ბაზირებას მაღალი შეფასება მისცა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ: "ვინაიდან კოპიტნარის აეროპორტი ნაწილობრივ სამტრედიის ტერიტორიაზე მდებარეობს, მუნიციპალიტეტი ამ კუთხითაც საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს, რაც სამტრედიას, რა თქმა უნდა, დადებითად წაადგება".

# საქართველოს "საქართველო"

დაუბრუნდა და ამით წარმატებით დაგვირგვინდა მრავალწლიანი გარჯა, ძალისხმევა საფრანგეთში, ლევილის ქართული მიწის საქართველოს სახელმწიფოსათვის გადმოცემის თაობაზე.

ძნელად, შეიძლება ვერც ვერასოდეს იფიქრებდნენ 1921 წლის საქართველოს პოლიტიკური ემიგრანტები, რომ დიდი გაჭირვებით პარიზთან ახლოს შეძენილი ლევილის მცირე მამული, თითოეული ემიგრანტისათვის მეორე სამშობლოდ, მეორე საქართველოდ რომ იქცა, საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციაში მოექცეოდა.

არაფერს ვამბობთ ამჯერად ემიგრანტთა მწარე ხვედრზე, ნოსტალგიაზე, მთელი ცხოვრება რომ ღრღნიდა მათ სულსა და გულს, მწარე, გაუთავებელ ფიქრზე სამშობლოზე, ახლობლებზე, ქვეყნის ბედზე.

ქართველი ყველგან ქართველად რჩებოდა (იშვიათი გამონაკლისის



გარდა). გასული საუკუნის 20-იანი წლების ქართველმა ემიგრანტებმაც ბოლომდე შეინარჩუნეს ქართული ბუნება, სული, კულტურა, ტრადიციები. სამარეში თან ჩაიტანეს მწარე ფიქრები და შთამომავლობას ანდერძივით დაუბარეს მრავლისმეტყველი სიტყვები:

... უთხარ, წარწერა ვიხილე ლოდზე, ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე.

ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ბატონმა გელა დუმბაძემ და ამ საკითხში საფრანგეთის მთავრობის მიერ უფლებამოსილმა ოფიციალურმა პირებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის თანახმადაც ლევილის ქართული მამული საქართველოს დაუბრუნდა.

ამიერიდან უფრო ბევრი ტურისტი მოინახულებს ლევილის ქართველთა საძვალეს, კიდევ უფრო ახლოს გაეცნობიან ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა ცხოვრებას, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ორი ერის ქართველებისა და ფრანგების დაახლოებას, მათ კულტურულ კავშირებს.

გიხაროდეთ, საქართველოს "საქართველო" დაუბრუნდა!

***ლევან გაბეჩავა***

რეპლიკა?

# ამ სიმყუდროვეში ჩაოდენი სიყვარულია

ამოუწურავია ახალგაზრდების ენერგია, ვრცელია მათი სამოქმედო ასპარეზი.

არასოდეს განიცდიდა და არც ამჯერად განიცდის საქართველო, სამტრედია ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდების სიმცირეს, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ აქა-იქ თვალი ამჩნევს ისევ ახალგაზრდების მიერ ჩადენილ უმსგავსობებს.

ბევრს არ გავაგრძელებთ.

ამ დღეებში ქალაქის ცენტრალურ ნაწილში რამდენიმე ადგილზე ახალი ძელსკამები დაიდგა ისევ და ისევ ხალხისთვის, ნებისმიერი ასაკის ადამიანისათვის, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდებისათვის.



ვიმედოვნებთ, მოზღვავებულ ენერგიას ამჯერად მაინც, ახალგაზრდების ის კატეგორია, მსგავს "ვაჟკაცობას" რომ სჩადიან, სხვა რამეში დახარჯავენ და "ჯავრს ძელსკამებზე არ იყრიან" როგორც არაერთხელ, არა ორჯერ და...

ძალას იკრებს შემოდგომა.

შესანიშნავი პერიოდია მცენარეთა რგვისა და გახარებისათვის.

უკვე სასწავლო წელიც დაიწყო, ამდენად ურიგო არ იქნება, საჯარო სკოლები თუ აიღებენ საკუთარ თავზე ინიციატივას, ქალაქის ცალკეული (თუნდაც გარე) უბნების გამწვანებისა და დასუფთავებაში საკუთარი წვლილის შეტანის თაობაზე, ეს კი ისევ მათ, მათ მომავალ შვილებს და შვილიშვილებს გამოადგებათ.

არ უნდა გვჭირდებოდეს ქართველებს საერთაშორისო ორგანიზაციების მოწოდება გამწვანებისა თუ დასუფთავების აქციაში მონაწილეობის თაობაზე. ეს თავად ჩვენ, ჩვენივე სურვილით, მონდომებით უნდა გავაკეთოთ ისე, როგორც ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ.

ჯერი თქვენზეა ახალგაზრდებო!

***ლევან გაბეჩავა***

## საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების პერიოდში "სამტრედიის მაცნე" იხელმძღვანელებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლისა და 2015 წლის 15 აგვისტოს საქართველოს ეროვნული კომისიის დადგენილების შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

შპს "სამტრედიის მაცნეს" ბრძანება #9-ში მოხდა ცვლილება წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს ნაცვლად 2 გვერდისა შეადგენს 5 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი. მისი ღირებულება შეადგენს 200 ლარს.

# სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში წვლილს წარმატებული სამტრედიელიც შეიტანს

ქეთევან ჭელიძე

***შემოვიდა და ოთახი ახალგაზრდული ენერგიით, ხალისით, სურვილებით, მიზნებითა და იდეებით აავსო. ასეთია თეონა ცომაია, ინტელექტუალი ახალგაზრდა, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში აქტიური მონაწილეობა რომ დაუსახავს. პირადად მას ამისთვის ყველა თვისება აქვს: ხედვა, შრომისმოყვარეობა, განათლება.***

***როგორც ამბობს, ცოტა მორცხვი, მაგრამ მიზანსწრაფული ადამიანია. მოტივაცია დაბრკოლებების გადალახვაში ეხმარება და ნოსტალგიაც აღარაა გაუსაძლისი. თეონა გერმანიაში სწავლობს. რამდენიმე დღით იგი სამტრედიაში ჩამოვიდა და თავისი გერმანული შთაბეჭდილებების შესახებ "სამტრედიის მაცნესთანაც" ისაუბრა.***

ქალაქის მესამე საჯარო სკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ მან სწავლა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით განაგრძო. სტუდენტობის პერიოდში გადაწყვიტა საზღვარგარეთ წასვლა. "მაგრამ ეს არ იყო განპირობებული იმით, რომ სწავლის ხარისხი არ მომწონდა, პირიქით, მასწავლიდნენ ამერიკასა და ევროპაში განათლებამიღებული ლექტორები. ამან გადამაწყვეტინა, მეც იქ მესწავლა, სადაც ჩემი პროფესორები სწავლობდნენ. მერე დავიწყე ინფორმაციის მოგროვება იმ ქვეყნებზე, სადაც სწავლის გაგრძელებას შევძლებდი". _ გვიამბობს იგი.

მიუხედავად იმისა, ფრანგულ და ინგლისურ ენებს ფლობდა, არჩევანი მაინც გერმანიაზე შეაჩერა. ის პირობები, რომელსაც სტუდენტს სახელმწიფო უქმნიდა, სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტი სწორედ გერმანიას ჰქონდა. "ზოგადად გერმანიას ბევრ რამეში აქვს უპირატესობა. კანონი იმპერატივია იქ, უსაფრთხოების განცდა ძალიან მაღალია. საზოგადოება პუნქტუალური, ძალიან მოწესრიგებულია. გერმანელები გამორჩეულად შრომისმოყვარეები არიან. ვფიქრობ, ქვეყანაში პრიორიტეტები სწორად აქვთ განაწილებული. განათლების სფეროში მეტ ინვესტიციას დებენ, ასევე, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, ვიდრე მატერიალურ საკითხებში. სწავლა იქ უფასოა. სტუდენტები მიზერულ სემესტრულ თანხას იხდიან, რათა ფასდაკლებით ისარგებლონ ტრანსპორტში, უფასოდ იარონ თეატრში, ოპერაში, კინოში და ა. შ." _ თავისი გადაწყვეტილების სისწორეში გვარწმუნებს თეონა.

ენის უკეთ დაუფლების მიზნით ქართველმა სტუდენტმა დარმშტატში ოთხთვიანი კურსები გაიარა. შემდეგ გისენში იუსტუს ლიბიგის სახელობის გისენის უნივერსიტეტში მაგისტრატურაში ჩააბარა გამოცდა, სადაც "დემოკრატია და სახელმწიფო მართვას" ეუფლება. გერმანიაში უცხოელ სტუდენტებს მეტი შესაძლებლობა აქვთ, მოიპოვონ სტიპენდიები. თითქმის იმედგაცრუებული დატოვა თავისი ლექტორი, როცა უთხრა, რომ მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნებას აპირებდა. ამ უკანასკნელმა კი ურჩია, დოქტორანტის სტიპენდია იქ მოეპოვებინა და სწავლაც გერმანიაში განეგრძო.

უნივერსიტეტში ენის ბარიერი სწავლის პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანი დაბრკოლებააო, თეონამ: "სწავლა არ არის ადვილი, მაგრამ გაგებით ეკიდებიან უცხოელ სტუდენტებს და ყურადღებას განსაკუთრებით ნამუშევრების აკადემიურობაზე ამახვილებენ, თუ რამდენად პროფესიულად უდგება იგი ამ ყველაფერს, ამაზე უფრო კეთდება აქცენტი, ვიდრე ენის ცოდნაზე".

მისი თანაკურსელი, ქრისტინე ქორიძე კიდევ ერთი ქართველია და თანაც სამტრედიელი. სხვა ქვეყნებიდან ჩასული ახალგაზრდებიც სწავლობენ მასთან. კამერუნიდან, ეკვადორიდან, უკრაინელი მეგობრებიც მრავლად ჰყავს თეონას. იგი აქტიურია, არამარტო სწავლაში, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. ის იმ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრია, რომელიც სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუდენტებს ეხმარება ჩვევების განვითარებაში, გარემოსთან ადაპტირებაში. ორგანიზაცია აწყობს სხვადასხვა ღონისძიებას, სემინარს პოლიტიკის საკითხებზე.



ქართველი სტუდენტი გერმანიაში საუნივერსიტეტო ორგანიზაციის მრჩეველთა საბჭოს შტუბეჰესენის წევრია. ამბობს, რომ საკუთარ თავს საბოლოოდ ხედავს როგორც არასამთავრობო, ისე აკადემიურ სფეროებში. "დიდი სიამოვნებით ვიმუშავებ სტუდენტებთან და მოსწავლეებთან. ვფიქრობ, რომ საწყისი ეტაპი _ სკოლა მნიშვნელოვანია ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბებაში და განსაზღვრავს საზოგადოების გათვითცნობიერებას. ამ საქმეში კი მინდა, ჩემი წვლილი შევიტანო". _ აღნიშნავს ჩვენი რესპონდენტი.



მისი ინტერესის საგანს სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს ყოველგვარი ჰომოფობიის, ქსენოფობიის, რასიზმის გარეშე. მომავალ პოლიტიკოსს ბევრი რამის მიმართ აქვს პროტესტის განცდა, რომ 21-ე საუკუნეში ადამიანები იბრძვიან არსებობისათვის; რომ მათ აქვთ სხვა ფერი, საუბრობენ სხვადასხვა ენაზე და სხვადასხვა ორიენტაციის არიან. არ უნდა ვასხვავებდეთ ადამიანებს სქესის, ფერის, რელიგიური კუთვნილების მიხედვით. მოსწონს, რომ ქართული საზოგადოება თანდათანობით იბრძვის, თუნდაც, ქალთა უფლებების დასაცავად, თუმცა, არ ემხრობა კვოტირების მიხედვით მიანიჭონ ქალებს უპირატესობა. მისი აზრით, ყველა თავისი განათლების, კვალიფიკაციის მიხედვით, უნდა დასაქმდეს. ასევე მიუღებელია მისთვის სქესის მიხედვით პასუხისმგებლობის განაწილება ოჯახში.



ამ სფეროში თავი ვიპოვეო, დასძენს და დარწმუნებულია, თავის წვლილს შეიტანს საქართველოში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების გაცნობიერებასა და განვითარებაში. თუმცა მანამდე ჩვენი შეხედულებების გადაფასება მოგვიწევს, რათა, მისი თქმით, დავბრუნდეთ იქ, საიდანაც მოვდივართ. ამ საკითხის მოგვარებაში კი უპირატეს როლს განათლებას ანიჭებს, რაც, პირველ რიგში, სახელმწიფოს პრეროგატივაა.

ხშირად ეკითხებიან, სად უფრო კარგია, საქართველოში თუ გერმანიაში. უჭირს პასუხის გაცემა, რადგან გერმანული სახელმწიფო სტაბილურად განვითარებულია, ხალხმა გაითავისა თავისი შეცდომები. "ის, რაც მოხდა ჰიტლერის დროს, არ იყო პრობლემა მხოლოდ ჰიტლერში, არამედ მთლიანად საზოგადოებაში, მათ გაიაზრეს ეს დანაშაული. ჩვენც ასე უნდა გავაკეთოთ, გავაანალიზოთ, შეცდომა სად დავუშვით. ამასთან, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ შრომას. მის გარეშე ვერ შევძლებთ იმის მიღწევას, რაც გერმანელებმა გააკეთეს. ჩვენ ეს შეგვიძლია და თანაც მეტად, ვიდრე მათ. მთავარია, სურვილი და მონდომება გაგვაჩნდეს. მე ყოველთვის შრომას ვანიჭებ უპირატესობას. ჩემთვის უფრო დასაფასებელია ის ადამიანი, რომელიც ერთი წაკითხვით კი არ სწავლობს, არამედ ბევრ შრომას დებს მასში. კარგია, თუ ხარ ნიჭიერი, მაგრამ მე მას, ვინც შრომობს იმაზე მეტ უპირატესობას ვერ მივანიჭებ". _ აზრს გვიზიარებს თეონა.

ქართველების მსგავსად გერმანელებიც ცდილობენ, საკუთარ შვილებს ზოგადი განათლება მისცენ. სკოლის გარდა ბავშვები სხვადასხვა აქტივობებით არიან დაკავებულნი, თანაც ბევრს კითხულობენ. ცუდ ტონად ითვლება გერმანიაში, თუ მშობელმა თავი იმით მოიწონა, რომ მისმა პატარამ ლაპარაკზე ადრე კომპიუტერი ისწავლა. მოზარდებისათვის ინტერნეტთან წვდომა შეზღუდულია. ცდილობენ, ნაკლები დრო გაატარონ კომპიუტერთან. დაკავებული არიან სპორტით და ყველას აქვს თავისი ჰობი. პატივს სცემენ ასაკოვან ადამიანებს, რომლებიც, თავის მხრივ, აქტიურ ცხოვრებას ეწევიან.

თავისუფალ დროს თეონაც მეგობრებთან ერთად ჭადრაკს თამაშობს, გატაცებულია ფიგურული სრიალით, დადის თეატრში არა მარტო გერმანულ ლიტერატურულ საღამოებზე, არამედ ქართული სათვისტომოს მიერ მოწყობილ ლიტერატურულ საღამოებზეც. ამ ყველაფერთან ერთად თეონა კვირაში ორი დღე გასტრონომშიც მუშაობს. უცხო ქვეყანაში თავი არასდროს უგრძვნია უცხოდ, რადგან გერმანელები სასწავლებლად იქ ჩასულ ადამიანებს სხვაგვარი პატივით ეპყრობიან.

გვარწმუნებს, თუ კარგი რამ თვისება აქვს, ეს მისი ოჯახის დამსახურებაა. წიგნის სიყვარული სწორედ აქ ისწავლა. სისტემატურად ხედავდნენ შვილიშვილები წიგნთან მიჯაჭვულ ბებიას და ბაბუას თავიანთ საკმაოდ დიდ ბიბლიოთეკაში. მშობლებიც აქცენტს ყოველთვის შვილების განათლებაზე აკეთებდნენ და როგორც შეეძლოთ, ხელს უწყობდნენ.

"ხშირად გვიმეორებდა დედა რელიგიურ ფრაზას, მოექეცით სხვას ისე, როგორც გინდათ თავად მოგექცნენ და გაცილებით უკეთესი იქნება სამყარო". _ დასძენს ჩვენი რესპონდენტი.

თეონას დედა, ქალბატონი თამარ კვანტალიანი პროფესიით ექიმი-თერაპევტია. იგი შპს "ჯეოჰოსპიტალსის" სამტრედიის ამბულატორიულ ცენტრში მუშაობს. მამა, ალექსანდრე ცომაია ინჟინერია და სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის საკითხებში წამყვანი სპეციალისტი.

"ჩემი მშობლები ჩემი მეგობრები არიან. მათ ჩემი ცხოვრების ყოველი ნიუანსი იციანო, გვითხრა. მათი ფიზიკური, მორალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გარეშე უცხოეთში წასვლა და სწავლა მისთვის შეუძლებელი იქნებოდა. თეონას ერთადერთი და მარიკა თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს ექიმი რადიოლოგია.

მადლიერი მოსწავლე სიყვარულით საუბრობს მესამე საჯარო სკოლაზე. თავის მაღალკვალიფიციურ პედაგოგებზე, განსაკუთრებული სინანულით გვიახსენებს უკვე გარდაცვლილ ქართულისა და მათემატიკის მასწავლებლებს, ნონა ნაცვლიშვილსა და მარგო კიკაჩეიშვილს. თეონა უკვე გერმანიაშია. ფრანკფურტში, სადაც ის ცხოვრობს. წინ სწავლითა და შრომით სავსე დიდი გზა აქვს გასავლელი. მაგისტრატურის შემდეგ დოქტორანტურაში აპირებს ჩაბარებას. თავის თანაკლასელთან, გერმანიაში გოთეს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთან, ალექსანდრე ვაშაკიძესთან ერთად ქართველ სტუდენტთა გაერთიანების ჩამოყალიბებას აპირებს, სადაც ის პოლიტიკური მიმართულებით იმუშავებს. ისევ გააგრძელებს არასამთავრობო ორგანიზაციაში საქმიანობას. მაქსიმალისტი, საკუთარი თავისადმი მომთხოვნი ახალგაზრდა ბევრი სამტრედიელისთვის მაგალითი იქნება.

# სწორუპოვარი წიგნი

ბიბლია უძველესია დაწერილ წიგნთა შორის, რომლის თავდაპირველი ნაწილი 3000 წლის წინათაა შექმნილი.

ღმერთის შთაგონებით საუკუნეთა მანძილზე იწერებოდა ეს საოცრება, ოთხი ათეული ავტორის მიერ. მიუხედავად ავტორთა სიმრავლისა, ბიბლია წარმოადგენს ერთ მთლიან წიგნს, ყველა დროის უდიდეს ქმნილებას, ჭეშმარიტად ღვთიურ სიტყვას. გამოხატვაა ადამიანის მარადიული ოცნებისა, შეიცნოს სამყარო და აღმოაჩინოს ჭეშმარიტი ღმერთი.

ბიბლია ბერძნულ ენაზე “წიგნს” ნიშნავს, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ-რელიგიური ქმნილებებისაგან შედგება. ტრადიციულად ბიბლიას ორ ძირითად ნაწილად ჰყოფენ. თუმცა რიგი სპეციალისტებისა მას სამ ნაწილად, ხოლო რიგი მკვლევარებისა ახალ აღთქმას ბიბლიის შემადგენელ ნაწილად საერთოდ არ მიიჩნევს.

მართლმადიდებლური სამყარო და ზოგადად ქრისტიანობა ბიბლიას ორად, ძველ და ახალ აღთქმად ჰყოფს. ძველი აღთქმა იწერებოდა იესო ქრისტეს მოვლენამდე, ხოლო ახალი აღთქმა ქრისტეს შობიდან პირველ საუკუნეში. ძველი აღთქმა დაწერილია ძველ ებრაულ და არამეულ ენებზე, ხოლო ახალი აღთქმა ძველ ბერძნულ ენაზე, ანუ იმდროინდელ კულტურულ ხალხთა ენებზე.

ძველი აღთქმა შედგება 39, ხოლო ახალი აღთქმა 27 წიგნისაგან. პირველი შეიცავს 929, ხოლო მეორე 39 თავს.

ჩვენამდე მოღწეულია ბიბლიის როგორც მთლიანი, ასევე მისი ცალკეული წიგნების 24 ათასამდე ხელნაწერი, რომელთა ერთი ნაწილი სამ ათასზე მეტი წლის წინათაა დაწერილი და დედანთან თანატოლია.

ბიბლიის ავტორები სხვადასხვა პროფესიისა და რანგის ადამიანები იყვნენ. მაგალითად: მოსე _ სახელმწიფო და რელიგიური მოღვაწე, პეტრე _ მეთევზე, ამოსი _ მწყემსი, ნეემია _ მეღვინეთუხუცესი, იესუ ნავინი _ მხედართმთავარი, დანიელი _ პრემიერ-მინისტრი, ლუკა _ ექიმი, პავლე _ რაბინი, მათე _ გადასახადების ამკრეფი, დავითი და სოლომონი _ ისრაელის სახელგანთქმული მეფენი და ა. შ.

ბიბლიის ავტორთაგან 16 მოციქული და წინასწარმეტყველია. ისინი ღმერთის ზეშთაგონებით, დედამიწის სამ კონტინენტზე _ აზიაში, აფრიკასა და ევროპაში, სხვადასხვა ადგილზე და გარემოში ქმნიდნენ თავიანთ შედევრებს. მაგალითად, დანიელი _ მთის ფერდობზე, იოანე _ კუნძულ პათმოსზე, პავლე და იერემია _ ციხეში, ლუკა _ მოგზაურობისას და ა. შ.

უძველეს წერილობით წყაროთა შორის ბიბლია ყველაზე ვრცლად და სწორად გადმოგვცემს კაცობრიობის ისტორიას, რაც ფასეულს ხდის მის მეცნიერულ ღირებულებას.

ძველი აღთქმის წიგნებს სამ ძირითად ჯგუფად ჰყოფენ: პირველ ჯგუფს განეკუთვნება “კანონთა წიგნი”, ანუ მოსეს “ხუთწიგნეული” (თორა). მეორე ჯგუფში შედის ისტორიული, ხოლო მესამე ჯგუფში წინასწარმეტყველური წიგნები.

ძველი აღთქმის 39 წიგნიდან ისტორიული ხასიათისაა _ 17, წინასწარმეტყველურია ასევე 17, ხოლო პოეტური ქმნილებაა 5 წიგნი.

მოსეს ხუთწიგნეულთაგან პირველი წიგნია “გენეზისი” (“ყოფა” “დაბადება”), რითაც იწყება ბიბლია. მართალია, მოსეს ხუთწიგნეული უპირველესად კანონთა წიგნია, მაგრამ მისი “გენეზისი” გვაუწყებს ღმერთის მიერ სამყაროსა და ადამიანის შექმნას, პირველი ადამიანების ცხოვრებას, მათ ცოდვებს, მსოფლიო წარღვნას, ნოესა და მისი მემკვიდრეების გამრავლებას, ებრაელთა ეთნარქების _ აბრაამის, ისაკის, იაკობის, იოსებისა და მათი ძმების ისტორიას, ეგვიპტეში ებრაელთა დასახლებასა და ცხოვრებას, ღმერთი იეღოვას გამოცხადებას ებრაელთა პატრიარქ აბრაამთან. იეღოვა (იაჰვე), რაც მარადიულს ნიშნავს, კანონებს უდგენს ებრაელ ხალხს, უწესებს ზნეობრივ ნორმებს, ეხმარება ეგვიპტელთა ტყვეობიდან თავის დაღწევაში.

პირველივე ჯგუფის მეორე წიგნი “გამოსვლათა” (“ექსოდესი”) გვაუწყებს ებრაელთა ღმერთკაცის _ მოსეს ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის მიერ ებრაელთათვის კანონის შექმნისა და სჯულისდებას, აღთქმას ღმერთის წინაშე. ამავე წიგნშია მოცემული ღმერთის “ათი მცნება” და რიგი რელიგიური დოგმები.

ამავე ჯგუფის მესამე წიგნი “ლევიანთა” (“ქურუმთა”). წარმოადგენს რელიგიურ კანონმდებლობას. მასში მოცემულია რელიგიური დოგმები, საკულტო მსახურების წესები, ღმერთ იაჰვესთან დამოკიდებულების ნორმები.



პირველი ჯგუფის მეოთხე წიგნი “რიცხვთა” გადმოგვცემს ებრაელი ხალხის ისტორიას, მათ საერო და სასულიერო ცხოვრებას ეგვიპტიდან გადმოსვლის შემდეგ, ვიდრე “აღთქმულ მიწაზე” (პალესტინაში) დამკვიდრებამდე. აღწერს ისრაელის შვილების შესვლას სინას მთის მიდამოებში, იესუ ნავინის წინამძღოლობით; ებრაელთა მიერ სოდომისა და გომორის ცოდვით შეპყრობილი ადგილობრივი ამორეველების ძლევას.

პირველი ჯგუფის წიგნებს (მოსეს “ხუთწიგნეულს”) თან ერთვის ებრაელთა სახელოვანი მხედართმთავრის იესუ ნავინის წიგნი. იესუ ნავინისა, რომელსაც თავდაპირველი სახელი _ ოსია თვით მოსემ შეუცვალა და იესუ დაარქვა, რაც “ღვთის შემწეს” ნიშნავს.

ძველი აღთქმის მეორე ჯგუფის წიგნები ისტორიული ხასიათისაა, რომელიც აღწერს ისრაელის სამეფოთა ისტორიას. სამეფოების მსაჯულთა: რუთის, იონბის, ეზრას, ნეემის, ესთერის, ნეშთასა და ფსალტირის მოღვაწეობას. აქვეა ამავე მსაჯულებისა და მეფეთა წიგნები. რომელთა შორისაა ისრაელის ლეგენდარული მეფე დავითის ფსალმუნები და ქრონიკების (პარალიპომენონის) ორი წიგნი.

ისრაელის მეფეთაგან მეორე ჯგუფის წიგნებში შესულია ისრაელის პირველი, მეორე და მეოთხე მეფის წიგნები, ებრაელთათვის თვით ღმერთის მიერ შერჩეული მეფის _ დავითის რელიგიური ჰიმნების წიგნი, სოლომონ მეფის შედევრები, მისი უკვდავი ქმნილება ეკლესიასტეს შესახებ. აქვეა სამოძღვრებო, მორალური ხასიათის წიგნები, იგავები, საგალობლები, ეკლესიასტესა და იერემიას გოდება, ზირაქის, რუთის სინანულის წიგნები.

მეორე ჯგუფის წიგნებს განეკუთვნება ასევე “მსაჯულთა წიგნი”, სადაც აღწერილია იეღოვას სჯულისაგან ებრაელთა განდგომისა და მათი კერპთაყვანისმცემლობას დაბრუნების ისტორია, რის გამოც ღმერთმა სასტიკად დასაჯა ისინი.

ამ ჯგუფის წიგნებში შემავალი “იგავთა წიგნი” სოლომონ ბრძენის ქმნილებაა, რომელიც წარმოადგენს აღმოსავლურ-დასავლური სიბრძნის კრებულს. ზოგი მკვლევარის აზრით “იგავთა წიგნი” სხვადასხვა ავტორის ქმნილებაა და იგი შედგენილია იეზეკიას დროს. წიგნის ძირითადი მოტივია: “ისწავლე”, “ისმინე”, შვილო, სიტყვა მამისა შენისა, რჩევა-დარიგება მშობლისა, განერიდე ზარმაცს, უგუნურს, ამპარტავანსა და მოჩხუბარს.

როგორც აღვნიშნეთ, ბიბლიის მეორე ჯგუფის წიგნებში შემავალი ქმნილება _ “ეკლესიასტე” მიეკუთვნება სოლომონ ბრძენს. იგი გვაუწყებს ებრაელთა გაუსაძლის ცხოვრებას ბაბილონელთა უღელქვეშ ჩივილსა და გულისტკივილს სოფლის ამაოებაზე. საერთოდ ეს წიგნი აღიარებულია სიბრძნის სიმფონიად.

შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიის მეორე ჯგუფის ისტორიული ხასიათის წიგნები, მრავალფეროვანი და სხვადასხვა სპექტრითაა წარმოდგენილი. გარდა ისტორიისა იგი უხვად შეიცავს მორალურ-სამოძღვრებო ხასიათის ქმნილებებს, გვამცნობს იობისა და დავითის ფსალმუნებს, იგავთა წიგნს. იერემიას გოდებას, ლირიკულ-კლასიკური პოეზიის შედევრებს, სოლომონის სიბრძნეს, დიდ და მცირე წინასწარმეტყველთა ნააზრევს. აქ წარმოდგენილ წინასწარმეტყველთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მიქეა წინასწარმეტყველის ქადაგებანი, რომელმაც ესაიას მსგავსად წინასწარ განჭვრიტა კერპთა და უსჯულოთა მომძლავრების შედეგად იერუსალიმის დაცემის გარდუვალობა. ამასთან, მიქეას ღრმად სწამდა, საბოლოოდ უსამართლობის ძლევისა და ქედუხრელი სიონის აღდგომა-გამარჯვება.

ძველი აღთქმის წიგნთან “მესამე ჯგუფს” განეკუთვნება “წინასწარმეტყველური წიგნები”. კერძოდ, ოთხი დიდი წინასწარმეტყველის: ესაიას, იერემიას, იეზეკიელის, დანიელის და 12 მცირე წინასწარმეტყველის _ იოსიას, იოილის, ამოსის, ავდიას, იონას, ნაუმის, აბაკუმის, აგიას, სოფონიას, ზაქარიას და მალაქიას ქმნილებები.

საერთოდ, ძველი აღთქმის წიგნები წინასწარმეტყველური და ისტორიული ხასიათისაა. მასში შემავალი წიგნები წინასწარმეტყველურია თუ პოეტური, ღმერთის “რჩეული” ხალხის გონის ნაყოფია, მათი ისტორიაა, მომავლის წინასწარმეტყველებაა.

ბიბლიის პოეტური წიგნები ებრაელთა “ოქროვანი ხანის” ლიტერატურაა. წინასწარმეტყველური წიგნები ებრაელ ხალხს წარმოაჩენს ღმერთის მიერ “რჩეულ”, განსაკუთრებული მისიის ერად, რომელთა მეშვეობით ღვთის ლოცვა-კურთხევა და სულიწმინდა გადავა დანარჩენ ხალხზე. ებრაელთა რჩეულობა გამოვლინდება და დაგვირგვინდება მათი მსოფლიოში გაბატონებით, კაცობრიობის სათავეში დავითის ჯიშის კაცის მოსვლით, რომლის კურთხევა მოხდება იერუსალიმში.

სათაურებისა და დასახელებების მიხედვით ძველი აღთქმის წიგნები ასე წარმოგვიდგება: ისტორიული ხასიათის 17 წიგნის სათაურებია: გენეზისი, გამოსვლა, ლევიანნი, რიცხვნი, მეორე სჯული. იესუ ნავინი, მსაჯულნი რუთი, პირველ მეფეთა, მეორე მეფეთა, მესამე მეფეთა, მეოთხე მეფეთა, პირველი ნეშტთა, პირველი ეზრა, მეორე ეზრა, ნეემია, ესთერი.

პოეტური ხასიათის ხუთი წიგნია: იობი, ფსალმუნები, ეკლესიასტე, სიმღერები, იგავნი სოლომონისა. წინასწარმეტყველური 17 წიგნია: იერემიას გოდება და ეპისტოლე, იეზეკიელის, დანიელის, იოსიას, იოილის, ამოსის, ავდიას, იოანას, მიქეას, ნაუმის, აბაკუმის, სოფონიას, აგიას, ზაქარიას, მალაქიას წინასწარმეტყველებანი. ეს 17 წინასწარმეტყველური წიგნი დაწერილია 16 ავტორის მიერ, რომელთაგან ესაია წინასწარმეტყველს მიეკუთვნება 2 წიგნი. ამ წიგნებს ჰყოფენ “დიდ” და “მცირე” წინასწარმეტყველურ წიგნებად. დიდ წინასწარმეტყველებად მიჩნეულნი არიან: ესაია, იერემია, იეზეკიელი, დანიელი, დანარჩენი 12 წინასწარმეტყველური წიგნი მიჩნეულია მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებად.

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველური წიგნების ასეთი პრინციპით დაყოფას, ზოგი მკვლევარი თვით წიგნების ფორმატის სიდიდით ხსნის. რომ 4 დიდი წინასწარმეტყველური წიგნიდან სამი უფრო სქელტანიანია, ვიდრე დანარჩენი 12 მოციქულის წიგნები ერთად აღებული. ამასთან ისიც ფაქტია, რომ მეოთხე დიდ წინასწარმეტყველად მიჩნეული დანიელის წიგნი ბევრად უფრო მცირე მოცულობისაა და იგი ფორმატით მხოლოდ მცირე წინასწარმეტყველ იოსიასა და ზაქარიას წიგნებს თუ გაუტოლდება.

წინასწარმეტყველთა ნამოღვაწარისა და შეხედულებების მიხედვით შესაძლოა დადგინდეს მათი ძიების და წინასწარმეტყველების საგანი, მიზნები, ამოცანები, უმთავრესი იდეები და იდეალები.

წინასწარმეტყველთა ძიების უმთავრესი საზრუნავია ებრაელი ხალხის ხსნა კერპთაყვანისმცემლობისაგან და ერთ საერთო ღმერთ იახვეს რწმენაზე მოქცევა. მათ სწამთ და სჯერათ, რომ ამის შემდეგ ღმერთის “რჩეული ხალხის” წიაღში წარმოიშობა ადამიანი, რომელიც მესიად მოევლინება სამყაროს. ხოლო მესიანურ ფუნქციას შეასრულებდა ღმერთის მიერვე ისრაელის მეფედ შერჩეული მეფის დავითის შთამომავალი. რომ უფალმა დავითის მემკვიდრეებს “საბრძანებლად სამარადჟამოდ დაუდგინა” არა მხოლოდ ისრაელის, არამედ მსოფლიო გამგებლობა. უფალი დავითისავე სახლის მეშვეობით განადიდებდა ისრაელის შვილებს მთელ დედამიწაზე.

ბიბლიის ავტორთა ამ იდეებმა შემდგომში წარმოშვა “დარგი” დავითის ჯიშის მეფედ-მეფობისა”. დავითის შთამომავალი არის ერთადერთი ცოცხალი ღმერთი იესო ქრისტე. წინასწარმეტყველთა იდეებიდან ბევრი უკვე რეალობად იქცა. მათ შორის “რჩეული ხალხის” “აღთქმულ მიწაზე” დაბრუნება ქანაანში ხმელთაშუა ზღვის უდაბნოსაგან გამყოფ, 280 კილომეტრზე ნაყოფიერ ლენტად განფენილ მიწაზე.

უსაზღვროა ღმერთის ნდობა და სიყვარული თავისი “რჩეული ხალხისადმი”, უფალი მხოლოდ ებრაელთა მოციქულებს ესაუბრება და აძლევს რჩევა-დარიგებებს. უფრო მეტიც, ებრაელებს იესუ ნავინის წინამძღოლობით, რომ საბოლოოდ გაენადგურებინა ქანაანის მკვიდრი მოსახლეობა და ამაში მათთვის სიბნელეს ხელი არ შეეშალა, ღმერთმა მზის ჩასვლაც კი შეაჩერა.

წინასწარმეტყველთა ცხოვრება და მოღვაწეობა მოიცავს პერიოდს ძვ. წ. 800-დან 400 წლამდე. ეს იყო უაღრესად რთული და კატაკლიზმებით აღსავსე წლები ებრაელთა ისტორიაში. ამ დროს ისრაელის სახელმწიფო ორად გაიყო. იგი ჯერ ასურეთმა, ხოლო შემდეგ ბაბილონმა დაიპყრო. ამ უკანასკნელის მეფის _ ნაბუქოდონოსის მიერ მიწასთან იქნა გასწორებული იერუსალიმი, ხოლო ებრაელი ხალხი საკუთარი მიწა-წყლიდან გაძევებული. წინასწარმეტყველები ცდასა და ენერგიას არ აკლებდნენ ამ ტრაგედიის თავიდან აცილებას, მაგრამ ვერ შეძლეს. როგორც თავადვე უწყიან: “რადგან ღმერთს ასე ეწადა”. მათი აზრით ამ ტრაგედიით უფალი კიდევ ერთხელ ღრმად დააფიქრებს ადამიანებს თავიანთ ნაკლსა და დაშვებულ შეცდომებზე, რომ მომავალში მსგავსი შეცდომები არ მოუვიდეთ, რომ თვით ყველაზე ამაღლებულნიც განწირულნი არიან, როცა ისინი არ მიჰყვებიან უფლის ნებას.

მათივე აზრით ისრაელის სახელმწიფოს დაცემა ძირითადად განაპირობა სოლომონის მეფობის შემდეგ, ებრაელთა ათი თაობის განდგომამ ღმერთ იეღოვასაგან, რის შედეგად ქვეყანა ორად გაიყო და ხალხში კერპთაყვანისმცემლობამ იმძლავრა.

უსამშობლოდ დარჩენილი ღმერთის “რჩეული ხალხი” დაიქსაქსა. საფრთხე შეექმნა მისეულ მონოთეისტურ რელიგიას, ეჭვქვეშ დადგა, ებრაელთა “რჩეულობა” და დავითის ჯიშის მსოფლიო მეფობა.

ბიბლიის წინასწარმეტყველ ავტორთაგან, რამდენიმე კერძოდ: იონა, იოილი, ამოსი, იოსია, ესაია და მიქეა თავად იყვნენ ისრაელის ჩრდილოეთის სამეფოს დაცემის უშუალო მოწმენი, ხოლო ნაბუქოდონოსორის მიერ ისრაელის განადგურების მომსწრენი შეიქმნენ: იერემია, დანიელი, ავდია, ნაუმი, აბაკუმი და სოფონია.

სპარსეთის მიერ ბაბილონელთა დამარცხებისა და დევნილი ებრაელობის სამშობლოში დაბრუნების წლებში მოღვაწეობდნენ აგია და მალაქია წინასწარმეტყველები.

წინასწარმეტყველნი ისრაელის ამ უმძიმეს განსაცდელის ჟამსაც კი არ კარგავენ მომავლის იმედს და ოპტიმიზმით უყურებენ მომავალს, მტკიცედ სწამთ, რომ ღმერთი არ გასწირავს თავის “რჩეულ ხალხს”, ხოლო იეღოვა გახდება ყველა ხალხის ღმერთი. ისინი ყველა ღონეს ხმარობენ გადაარჩინონ ებრაელთა ის ნაწილი, რომლებიც არ დაუბრუნდნენ კერპთაყვანისმცემლობას და ჭეშმარიტი ღმერთის ერთგულნი დარჩნენ. ურყევად სჯეროდათ, რომ დავითის ჯიშისაგან სამყაროს მოევლინებოდა მესია.

ამ მიმართებით განსაკუთრებული ოპტიმიზმით გამოირჩევა მესიანური მოციქული ესაია იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო როდესაც ძვ. წ. 734 წელს ასურეთმა ისრაელის ჩრდილოეთი სამეფო დაიპყრო, ხოლო 13 წლის შემდეგ მთელი ისრაელი. ესაიამ ბაბილონის ძლიერების ხანაშივე 100 წლით ადრე იწინასწარმეტყველა იმდროინდელი მსოფლიოს ამ დიდი იმპერიის განადგურება. მართალია, ესაია ბაბილონის დაცემას ვერ მოესწრო, მაგრამ უშუალო მოწმე გახდა ამ

ქვეყნის წინამორბედი, ასევე ისრაელის დამპყრობელის, ასურეთის სამეფოს განადგურებისა.

ესაიას ასევე ღრმად სწამდა, რომ სიონის კედლები ჩამოირეცხდა ლაქებს, იერუსალიმი გახდებოდა მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრი, დავითის ჯიშიდან სამყაროს მოევლინებოდა მესია. მისი ქმნილებების 53 თავი ეძღვნება მესიის მოვლენას, მის სიკვდილსა და აღდგომას, რაც 8 საუკუნის შემდეგ რეალობად იქცა იესო ქრისტეს მოვლენით. ყოველივე ამას კარგად შენიშნავს ქრისტიანობის მიერ აღიარებული ერთ-ერთი სახარების ავტორი იოანე, რომელიც ბრძანებს: ''ესაიამ განჭვრიტა ქრისტეს მოვლენა და იწინასწარმეტყველა მასზე''.

ესაია აღესრულა მოწამეობრივი სიკვდილით _ მეფე მინასეს ბრძანებით მისი სხეული გადახერხეს. ღმერთისგან განდგომისა და კერპთაყვანისმცემლობას ებრაელთა დაბრუნების გამო, ისრაელის და იერუსალიმის დაცემის გარდუვალობის წინასარმეტყველებდა მიქეაც. ამასთან, ისევე, როგორც ესაიას, მიქეასაც ღრმად სწამდა ბოროტების ძლევა და ქედუხრელი სიონის აღორძინების გარდუვალობა.

წინასწარმეტყველთა შეხედულებები შესაძლებელს ხდის, დადგენილ იქნას ბიბლიის ამ გენიალურ ავტორთა ძიებისა თუ წინასწარმეტყველების საგანი და იდეალი. მაგალითად:

_ ამოსის და იოსიას კვლევისა და წინასწარმეტყველების ობიექტი ისრაელი და მისი მომავალია.

_ იონას და ნეემიას _ ნინევია.

_ დანიელის _ ბაბილონი.

_ იეზეკიელის _ ბაბილონის დაპყრობები და დაპყრობილთა ბედი.

_ ავდიას _ ედემი.

_ იოილის, ესაიას, მიქეას, იერემიას, აბაკუმის, აგიას, სოფონას, ზაქარიას, მალაქიას _ იუდეა და იუდეველები.

წინასწარმეტყველთა უმთავრესი იდეები და იდეალია:

_ იოილის _ ხალხთა მომავალი ერთობის გარდუვალობა.

_ იონას _ ღმერთის მიერ ისრაელის მტრებით დაინტერესება.

_ ამოსის _ ერთიანი მსოფლიო სახელმწიფო, დავითის მოდგმის მმართველობით.

_ იოსიას _ ებრაელთა ღმერთის იეღოვას აღიარება ყველა ხალხის საერთო ღმერთად.

_ ესაიას _ ღმერთის მიერ ყველა ხალხზე ზრუნვა, მოწყალება, მადლი, შეწევნა.

_ მიქეას _ ბეთლემის მეფისა და მისი ხელისუფლების მსოფლიო მთავრობად ქცევა.

_ ნაუმის _ ნინევიას ქვეყნის დასჯის გარდუვალობა.

_ სოფონას _ უფლის გამოცხადება ახალი სახელით.

_ იერემიას _ ებრაელთა ცოდვებისათვის, იერუსალიმის დაცემა და მისი კვლავ განდიდება.

_ იეზეკიელის _ იერუსალიმის დაცემა, მისი მკვდრეთით აღდგომა და აღორძინება.

_დანიელის _ ისრაელის ოთხი მარადიული ღვთიური სამეფო.

_ ავდიას _ ედემის საბოლოო განადგურება და ისრაელის შვილთა განდიდება.

_ აბაკუმის _ იეღოვას ''რჩეული ხალხის'' აღზევების გარდუვალობა.

_ აგიას _ მომავალი დიდების ტაძარი.

_ ზაქარიას _ მსოფლიოს მომავალი მეფე.

მალაქიას _ ებრაელობა, როგორც ღმერთის ''რჩეული'' და მესიანური ხალხი.

*დემურ ღლონტი*
*პროფესორი*

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# დამაბნევლად დასმული შეკითხვების კვალდაკვალ

**ნათია ნაცვლიშვილი**

***რამდენიმე დღის წინ სატელევიზიო შოუში ''პროფილი'' გაიელვეს ჩვენი მუნიციპალიტეტის ქუჩების კადრებმაც. სულ ახლახან მოხატული კედლის ფონზე ახალგაზრდები ჟურნალისტების შეკითხვებს პასუხობდნენ. დამაბნეველი შეკითხვები ჟურნალისტებმა საქართველოს მასშტაბით შერჩეულ რესპონდენტებს დაუსვეს. სამტრედია ერთ-ერთი რიგითი ლოკაცია იყო. ბევრმა ამ გამოკითხვაში თავისი მეგობარი თუ მეზობელი ამოიცნო, ბევრი აღშფოთდებოდა ახალი თუ ძველი თაობის წარმომადგენლების მიერ კითხვებზე გაცემული პასუხებით. მაგალითად, რატომ მოიკლა თავი ილია ჭავჭავაძემ? ერთ-ერთი გამოკითხულის აზრით, სიყვარულის გამო. უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლაში სულხან-საბას ''დედა ენა''? მიესალმებოდნენ თუ არა არჩევნებში არსენა ოძელაშვილის მონაწილეობას? წაუკითხავთ თუ არა შოთა რუსთაველის ''გალობანი სინანულისანი''?***

***დავინტერესდით, როგორი შეფასება მისცეს ჩვენს მუნიციპალიტეტში ამ ყოველივეს. ხატავს და ქმნის თუ არა მსგავსი გამოკითხვები ქვეყანაში არსებულ რეალურ სურათს და სვამს თუ არა ზუსტ დიაგნოზს? განათლების ექსმინისტრმა თამაზ კვაჭანტირაძემ საზოგადოებას ამ გამოკითხვების შემდეგ ბოდიში მოუხადა. არის თუ არა საგანგაშო ვითარება ქვეყანაში და არის თუ არა პრობლემა ისეთი მძაფრი, როგორიც დაიხატა? ამ კითხვებზე ის ადამიანები გვპასუხობენ, რომლებსაც ახალგაზრდებთან აქვთ შეხება:***

ლალი თადუმაძე, იურისტი, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ტრენერი:

''მაქვს 27 წლიანი პედაგოგიური სტ-



აჟი და მრავალწლიანი საადვოკატო პრაქტიკა. მოსწავლეებთან, სტუდენტებთან მაქვს ურთიერთობა და არ ვთვლი, რომ საგანგაშოდაა საქმე. კომპიუტერით მოპოვებული ცოდნა უფრო მეტი აქვთ, ვიდრე წიგნისეული როგორც წინა თაობები იყვნენ, ეს თაობა ისეთი წიგნიერი ვერ არის, მაგრამ ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით ნამდვილად წინ არის. ჩემს თაობას 5-10 დღიანი შრომის შედეგად გვქონდა ინფორმაცია, ესენი მოიპოვებენ 2-3 წუთში, ძალიან განვითარებული აქვთ ლოგიკური აზროვნება. ძალიან კარგია, ზოგადი უნარების საგანი რომ იქნა დაშვებული. საბჭოთა პერიოდში ხდებოდა ცოდნაზე, ფაქტობრივ მონაცემებზე აქცენტირება. მათ შორის, თქვენს მონა-მორჩილს შეიძლებოდა,''ვეფხისტყაოსნის'' ნახევარი ზეპირად სცოდნოდა, ისე, როგორც ყველა სხვას. არა მარტო ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, არამედ ტექნიკურ ფაკულტეტზე ჩაბარების მსურველებსაც ზეპირად უნდა სცოდნოდათ ციტატები ''დიდოსტატის მარჯვენადან'' და ა. შ. თქვენს მონა-მორჩილს, რომელიც მედლის კანდიდატი იყო (დავამთავრე 24-ე სკოლა) ტარიელი სტენოკარდიით დაავადებული მეგონა. რა უბედურება იყო, გულის შეტევები რატომ ემართებოდა? საბჭოთა განათლებას ანალიზის მიმართულება არ ჰქონდა. მთავარი იყო, ფაქტობრივი მონაცემები გვცოდნოდა. ვინმე თუ თავისუფლად იაზროვნებდა, სავარაუდოდ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდებოდა. მახსოვს, სტუდენტობის დროს (იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობდი) ისწავლებოდა საგანი ანტიდიურინგი. თვითონ დიურინგი ფილოსოფიური მოძღვრება იყო, რომელიც საბჭოთა სისტემას ანადგურებდა. ერთ-ერთმა ჩემმა კურსელმა ლექტორს უთხრა, პატივცემულო, იქნებ ჯერ დიურინგი წავიკითხოთ და მერე კი, ბატონო, ანტიდიურინგი, კრიტიკას მასწავლი და ჯერ ის მასწავლე, რასაც ვაკრიტიკებთო, ის ლექციიდან გააძევეს, რას ჰქვია, დიურინგი მოითხოვეო.



მე და ჩემმა მეგობარმა ფილოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტების პირადობის მოწმობით ჩავაღწიეთ საჯარო ბიბლიოთეკის განყოფილებაში, სადაც გრიგოლ რობაქიძე წავიკითხეთ. არ გვქონდა მისი ოფიციალურად წაკითხვის საშუალება იმიტომ, რომ აკრძალული იყო თავისუფალი აზროვნება. ახლა ჩვენ გვაქვს თავისუფალი აზროვნების არეალი. ეროვნული სასწავლო გეგმა, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. კანონი ზოგადი განათლების შესახებ ძალიან მომწონს. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების პირველი მუხლი პირდაპირ გვეუბნება, რომ მოსწავლე უნდა აღიზარდოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით. უბრალოდ, მასწავლებელთა რეფორმა ვერ მოასწრო სახელმწიფომ. 60 წელი მაინც გვჭირდება, რომ რეფორმა ნორმალურად გატარდეს. ყველაფერი უნდა გადაიდოს გვერდზე და სახელმწიფომ ძალიან დიდი თანხა უნდა ჩადოს ამაში. იმავე გადაცემაში მოვისმინე, 26 მილიონი ჩაიდო პროფესიულ გადამზადებაშიო. 26 მილიონი აირეკლა იმაში, რომ დაწყებითის 2000 მასწავლებლიდან 31-მა ჩააბარა? არსობრივადაა რეფორმა ჩავარდნილი, მასწავლებლად, თუ ძალიან შინაგანი მოთხოვნილება არ ჰქონდა, ვინ წავიდოდა? მოტივაციაც არ ჰქონდათ პედაგოგებს. თუ ვინმე უნდა იყოს განათლებული, თუ ვინმეს უნდა დაუწესოს მაღალი სტანდარტი სახელმწიფომ, უპირველესად მასწავლებელს. მოსწავლე ზოგი გემორჩილება, ზოგი არა, იდეალური არაფერია, მაგრამ პედაგოგები რომ ამბობენ, ამდენი წელიწადი ვმუშაობ და რაში მჭირდება ეს უნარებიო? არ აბარებენ, ვერ აბარებენ, არ უნდათ, ამიტომ, ვფიქრობ, სახელმწიფომ, ისე, რომ ღირსება არ შეულახონ ადამიანებს, უნდა ჩააბარებინოს ეს გამოცდა. ისე, უკვე ჩემს თვალში ღირსებაშელახული არის ის პედაგოგი, რომელსაც გამოცდის ჩაბარება არ უნდა, მოღალატეა თავისი პროფესიის და სახელმწიფოსი. მოსწავლემ მოქალაქისთვის აუცილებელი თარიღები უნდა იცოდეს, ორი 9 აპრილი რომ აქვს საქართველოს, 1989 წლის და 1991 წლის, უნდა იცოდეს 26 მაისი, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი. მინიმალურ სტანდარტს ყველა საგანში უნდა აკმაყოფილებდეს. განსაკუთრებით, ჩემს საგანზე ვაკეთებ აქცენტს, იმიტომ, რომ მოქალაქე უნდა გაიზარდოს. ამიტომ, ცა რომ ჩამოიქცეს, რაც არ უნდა მოხდეს, ელემენტარული თარიღები უნდა იცოდეს. ერთ-ერთ ჩემს მოსწავლეს ფეხი მოსტყდა და სახლში მივაკითხე, ვიდრე ყველაფერი არ ჩამაბარა (ამავე დროს დავლიე 2 ლიტრი ყავა) ნიშანი არ დავუწერე.

ზაზა ადეიშვილი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სამტრედიის ინტელექტუალთა გუნდის წევრი:

''მართლაც ღიმილის მომგვრელია ამ სატელევიზიო შოუს მიხედვით სრული წარმოდგენის შექმნა. არც იმის უგულებელყოფა იქნება, რომ არის ბავშვების, ახალგაზრდების წიგნიდან დისტანცირების პრობლემა. ინტერნეტის და კომპიუტერის გამო წიგნს ცოტა მტვერი დაედო, მაგრამ ტელესიუჟეტები მაინც შოუს ელემენტებითაა გაჯერებული და ცოტა უტრირებულია. მე ასეთ აპოკალიპტურ სურათს ვერ ვხედავ, იმიტომ, რომ, ჩემი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, უამრავ ძალიან კარგ ახალგაზრდასთან მიწევს ურთიერთობა, როცა მათ ჭკვიან თვალებს ვუყურებ, ვრწმუნდები, რომ ძალიან კარგი თაობა მოდის, ისაა აღჭურვილი თანამედროვე ინსტრუმენტებითაც და ისეთიცაა, უკვე ბევრი წიგნი რომ გადაუშლია. ბოლო წლებმა, ბევრი კარგი სამტრედიელი ახალგაზრდა დამამეგობრა, ტირილი მეძალება ამ თემას რომ ვეხები, ვანიკოსა და თემურიკას, ძმებ ვაშაკიძეებს ვიგონებ, ორი გენიოსი ბავშვი, ძალიან ჭკვიანები, განათლებულები, მოწყურებულები, რომ ცოდნა და განათლება მიეღოთ. სამტრედიელმა ბავშვებმა მინდა იცოდნენ, რომ მათ ქალაქში დადიან დავით მანჯგალაძე, ვაჟა ჩიჩუა, ლაშა ორმოცაძე, გიგა ჩალიგავა, ძმები წულაიები და ძალიან ბევრი ისეთი ახალგაზრდა, შეუძლიათ მაკიაველზე, შოპენჰაუერზე, ნიცშეზე, ფროიდის ფსიქოანალიზზე ძალიან კომპეტენტურად გაგესაუბრონ''.

ლევან ცირეკიძე, სამტრედიის ინტელექტუალთა გუნდის ''ინტერსტელარის'' წევრი:



''საშინელი ფაქტია, მაგრამ ჟურნალისტებს გადაცემის პოპულარობა უფრო აინტერესებთ, თორემ 100 რესპონდენტიდან მარტო იმას აჩვენებენ ეკრანებზე, ვინც თავადვე აწყობთ''.

კობა ძიძიგური, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:



''უამრავ კარგ ახალგაზრდას ვიცნობ, ხშირი შეხება მაქვს მათთან, დარწმუნებული ვარ, ასეთი გამოკითხვა, სრულ სურათს ვერ მოგვცემს. შესაძლოა, ყოველდღიური საფიქრალით დატვირთულმა მოქალაქემ უცებ ვერ გაიხსენოს ესა თუ ის ისტორიული თარიღი თუ ციტატა, რომელიმე ლექსიდან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს, როგორც ჩვენს მუნიციპალიტეტში, ისე მთელ საქართველოში.''

გიორგი ჩაჩუა, სამტრედიის ინტელექტუალთა გუნდის ''ინტერსტელარი'' პრეზიდენტი: ''ზოგადად განათლების პრობლემა მთელ მსოფლიოში აქტუალურია, ტარდება სხვადასხვა გამოკითხვები, კვლევები, ეძებენ გამოსავალს, თუ როგორ დაუბრუნონ ახალგაზრდები წიგნს. 21-ე საუკუნეს შემთხვევით არ უწოდებენ ''ინფორმაციულ საუკუნეს'', თანამედროვე ახალგაზრდები გაცილებით უფრო ინფორმირებულნი არიან, ვიდრე ადრე, ძველი თაობის ახალგაზრდები იყვნენ. მათ აქვთ წვდომა მსოფლიო რესურსებთან, ამ პროცესში ხდება მიღებული ინფორმაციის დახარისხება და ამიტომ შესაძლებელია, რომ ადამიანი იმახსოვრებს ისეთ რამეს, რომელიც მისთვის უფრო ხელშესახებია, თანამედროვეა, განსხვავებით ადრეული პერიოდისგან, როცა ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება წიგნი იყო და შესაბამისად მხოლოდ იქ გადმოცემულ ინფორმაციას ღებულობდა ადამიანი, ახლა მას აქვს ძალიან ბევრი ალტერნატივა.



ამან დადებით მხარესთან ერთად უარყოფითი შედეგებიც მოიტანა, რადგანაც თაობას უკვე უჭირს არჩევანის გაკეთება, თუ რისი ცოდნა არის მისთვის უფრო მნიშვნელოვანი და რისი ნაკლებად მნიშვნელოვანი, ამ პროცესში აუცილებელია ჩაერთონ პედაგოგები, მშობლები და საზოგადოების სხვა წევრები. გაიმართოს შემეცნებითი ღონისძიებები და ა. შ.

მე, როგორც უნივერსიტეტის ლექტორს და სამტრედიის ინტელექტკლუბის პრეზიდენტს, მჭიდრო შეხება მაქვს ახალგაზრდებთან და შემიძლია ვთქვა, რომ მათში განათლების დონის დეფიციტი ნამდვილად არ არის, ელემენტარული ცოდნის არქონის ერთეული შემთხვევები ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება, თუმცა ეს საერთო დონეზე ვერ იმოქმედებს. მთავარია სწორი გზით წარვმართოთ მომავალი თაობის აღზრდის პროცესი.

# ინტერესი სპორტული აკრობატიკისადმი დიდია



მე-12 საჯარო სკოლის შენობაში სპორტული აკრობატიკის სექცია მუშაობს. უკვე სამი წელია, სამტრედიელ ბავშვებს შეუძლიათ სპორტის ამ სახეობას სრულიად უსასყიდლოდ დაეუფლონ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა ამის საშუალებას აძლევს ჩვენს თანაქალაქელებს.

"დღესდღეობით 20-25 ბავშვია, საერთოდ, ჯგუფი 12 ბავშვისგან იქმნება. როგორც ხედავთ, ინტერესი ძალიან დიდია და ვფიქრობ, კიდევ მოგვემატებიან მსურველები. არის პერსპექტივა იმისა, გაფართოვდეს დარბაზიც და მოგვემატოს საჭირო ინვენტარიც". _ გვეუბნება სპორტის ამ სახეობის მწვრთნელ-მასწავლებელი იური კორძაძე. მეცადინეობა კვირაში სამ დღეს მიმდინარეობს.

იური კორძაძე ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის დამთავრების შემდეგ დიდი ხანი ცდილობდა ამ ჯგუფის ჩამოყალიბებას. ვიდრე ამ საქმეს დაიწყებდა, სპორტულ აკრობატიკაში მოსწავლეებს ჯერ ერთ-ერთ ინსტიტუტში, შემდეგ კი, კინო-ვიდეო-ბიზნეს კოლეჯში ავარჯიშებდა, ამჯერად, მე-12 სკოლაში ავარჯიშებს.

"სამტრედიაში სპორტის ამ სახეობის ჯგუფის ჩამოყალიბებაში დაგვეხმარნენ კომპლექსური სპორტული სკოლის წარმომადგენლები ივანე კილტავა, კაკო დვალიშვილი და სხვები. მათი იმედი გვაქვს და მჯერა ყველაფერი კარგად იქნება". _ ამბობს ბატონი იური.



დავინტერესდით, ახლო წარსულში რამდენად დიდი წარმატებისათვის მიუღწევიათ ჩვენს მუნიციპალიტეტში სპორტის ამ წარმომადგენლებს.

"სამტრედიაში 10 წლის წინ იყო ჯგუფი ჩამოყალიბებული სპორტის ამ სახეობაში, მიღწევებიც ჰქონდათ, საქართველოს მასშტაბით და რაიონული მასშტაბით გვყოლია ჩემპიონები, გვინდა, გაგრძელდეს ეს ტრადიცია კვლავაც". _ გვეუბნება იური კორძაძე.

ივანე კილტავა, კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი:

"ერთ წელზე მეტია, რაც კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი ვარ, სპორტული აკრობატიკის ჯგუფი უკვე ფუნქციონირებდა, როცა მე ჩემი საქმიანობის განხორციელებას შევუდექი. იური კორძაძეს შორიდან ვიცნობდი, როგორც სპორტის მუშაკს, არ ვიცოდი, თუ ასეთი თავდადებული იყო თავისი საქმისადმი, ასე ორგანიზებულად აკეთებდა საქმეს. ჩვენი სამსახურის ფუნქციაა, ხელი შეუწყოთ სპორტის ყველა სახეობის ჯგუფებს. მუდამ დავდივართ და ვამოწმებთ ადგილებზე ამ ჯგუფებში მუშაობის ხარისხს, ბავშვების დასწრებას და ა. შ. იური კორძაძის მუაობით ძალიან კმაყოფილნი დავრჩით. განცვიფრებულნი ვართ, ასეთ პატარა სივრცეში როგორ ახერხებს სპორტის ეს ურთულესი სახეობა მოსწავლეებს შეაყვაროს. მათ მართლაც სჭირდებათ მეტი ყურადღება და სათანადო ინვენტარი, იური არ იშურებს ძალ-ღონეს. ამასწინათ მან გვთხოვა, ფორმები თავისი პატარა მოსწავლეებისათვის, ჩვენ მართლაც შევუძინეთ ფორმები ბავშვებს და ერთ-ერთი საფეხბურთო მატჩის შესვენებაზე მისმა მოსწავლეებმა რამდენიმე წუთიანი მონახაზი აჩვენეს, რითაც კმაყოფილნი დარჩნენ მშობლებიც და მაყურებლებიც. კვლავაც განაგრძობს იური თავის საქმიანობას ერთგულად და კარგად, ჩვენც მის გვერდით ვიქნებით, რომ მეტად შევუწყოთ ხელი ჩვენთან სპორტის ამ სახეობის განვითარებას, რომ თავის აღსაზრდელებთან ერთად უკეთეს შედეგს მიაღწიონ, ამასთანავე იყოს ბავშვების მასიური ჩართულობაც.





***ნაირა ნაცვლიშვილი***

## ფოტო ისტორიას ჰყვება

ასეა ამჯერადაც.

ეს პატარა ალისფერყელსახვევიანი ბიჭი არამარტო საქართველოში, საფრანგეთში ცნობილი პიროვნება, "სამტრედიის მაცნეში" ფეხადგმული, **ჩვენი ბაჩუკი ჩაბრაძეა**.



არაერთხელ გვსმენია მისი მიღწევების შესახებ და მისი მშობლიური რაიონის მშობლიური გაზეთიც ფეხდაფეხ მიჰყვება ბაჩუკის ყოველ ახალ წარმატებას.

ამჯერად კი, ამჯერად რედაქციის არქივში ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის **ბატონ რომან ბექაიას** მიერ 1988 წლის 7 ივნისს გადაღებულ ფოტოს წავაწყდით და 28 წლის შემდეგ გადავწყვიტეთ, ისევ გაგვეხსენებია ის წლები და ბაჩუკის მოსწავლეობის ხანა მკითხველთათვის.

***ლევან გაბუჩავა***

## ღეროვანი უჯრედებით სახსრებით დაავადებულ ბავშვებს უმკურნალებენ

მკვლევარები გეგმავენ ღეროვანი უჯრედების საშუალებით პერტესის დაავადების მკურნალობას. ეს ძალიან გავრცელებული დაავადებაა და ბარძაყის ძვლის თავის სისხლის მომარაგების დარღვევითაა განპირობებული. მკურნალობის ახალი მეთოდი ბავშვებს ინვალიდობისაგან იხსნის.

მეცნიერებმა უკვე წარმატებულად გამოიყენეს ღეროვანი უჯრედები მოზრდილებში ბარძაყის ძვლის ასეპტიური ნეკროზის მკურნალობისთვის. ისინი იმედოვნებენ პერტესის დაავადებით დაავადებული ბავშვების დახმარებას, რადგანაც ეს ორი პათოლოგია ერთმანეთის მსგავსია.

სპეციალისტები იყენებენ პაციენტის თეძოს ძვლიდან აღებულ ღეროვან უჯრედებს, რის შემდეგაც ექიმები იღებენ კონცენტრატს და ნერგავენ პაციენტის დაზიანებულ ძვალში. პროცედურა დაახლოებით ერთი საათი გრძელდება.

აქამდე პაციენტებს, ართრიტის განვითარების თავიდან ასაცილებლად, ძვლის ნაწილს აშორებდნენ, თუმცა ამ ოპერაციას ბევრი მინუსი გააჩნია. სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, რომ აღნიშნული მეთოდით მკურნალობა გაცილებით უფრო ეფექტური იქნება.





## მეცნიერების დასკვნით, ოკეანეში ტროპიკული დაავადებები ვრცელდება

გლობალური დათბობების გამო, ოკეანეში ისეთი დაავადებები ვრცელდება, რომლებიც ცხოველებისა და ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აყენებს. "ბიბისის" ცნობით, აღნიშნულ დასკვნამდე 80 მეცნიერი მსოფლიოს 12 ქვეყნიდან ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში მივიდა.

მეცნიერების დასკვნის თანახმად, 1970-იანი წლებიდან მსოფლიო ოკეანეებმა პლანეტის ტემპერატურის ზრდის 93% შთანთქა, ანუ გლობალური დათბობის პროცესში დედამიწის "ფარი" გახდა. თუმცა, ამან ოკეანის ბინადრების ცხოვრების სისტემა სრულად შეცვალა. კლიმატის ცვლილებებიდან გამომდინარე, პლანქტონებმა, მედუზებმა, წყლის კუმ და თევზების ზოგიერთმა სახეობამ იმ წყლებში გადაინაცვლეს, რომლებიც მათთვის სრულიად უცხო იყო. ამ პროცესების გამო თევზჭერის ჩვეული არეალიც იცვლება, რაც მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, მეცნიერთა განმარტებით, მთავარი პრობლემა ისაა, რომ ოკეანეში ტროპიკული დაავადებები ვრცელდება, რაც ადამიანებს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის.

## საქართველომ საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა

ამ დღეებში საქართველომ უმასპინძლა ჰერალდიკისა და ვერსიოლოგიის საერთაშორისო კონფერენციას.

მოვლენასთან დაკავშირებით უპრიანია გავიხსენოთ ქართული დროშის ისტორია.

ჩვენი წელთაღრიცხვით 450-60 წლებში მეფე ვახტანგმა შემოიღო ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა, რომელსაც ''ჯუარი პატიოსანი'' ერქვა. ამ დროშის მთავარი ჯვრის ნიშანი ''ქანი'' ოთხნაირად იკითხება:

1. ქრისტეს ჯვარი, ანუ ჯვარი პატიოსანი.
2. ქრისტე ღმერთი.
3. ქვეყანა.
4. ყოველი ქართლი.

გავაერთიანოთ ოთხივე და მივიღებთ შემდეგს:

''ჯუარი პატიოსანისა'' ანუ ქრისტეს ჯვრისა და ქრისტე ღმერთის ქვეყანა ყოვლისა ქართლისა _ ოთხივ კუთხით ჯვარი სწერია.

მემატიანეთა მიხედვით ხუთჯვრიან დროშას სწორედ ამიტომ ეწოდება ''ჯუარი პატიოსანი''.

''ჯუარი პატიოსანი მცხეთის მთაზე ჩვენი წელთაღრიცხვის 326 წელს აღიმართა, რაც მაუწყებელი იყო საქართველოს გაქრისტიანების პროცესის დასრულებისა.

''ჯუარი პატიოსანის'' გარშემო აშენდა მცხეთის ჯვრის ეკლესიაც, რომელსაც ასევე ეწოდა ''ჯუარი პატიოსანი''.

ჯვრის ეკლესიის მშენებლობა 602 წელს დასრულდა.

ვახტანგ გორგასალმა გააერთიანა საქართველო.

დღევანდელი ხუთჯვრიანი სახელმწიფო დროშა სწორედ ვახტანგ გორგასლისდროინდელია, იგი უძველესი სახელმწიფო დროშაა მთელ მსოფლიოში.

რაც შეეხება თბილისში ჩატარებულ კონფერენციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და კიდევ ერთ წინ გადადმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოებრივი ცნობიერების კუთხით.

***ლევან გაბეჩავა***



## ნელი რობაქიძის გახსენება

ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი, ძალიან გვიჭირს უშენობა. ძნელად საფიქრალია, რომ ჩვენთან აღარ ხარ, ჩვენო საყვარელო და საფიცარო დაიკო. თქვენ უნიკალური ქალბატონი იყავით, განგებისგან უხვად დაჯილდოებული



ნიჭიერებით. იდეალური დედა, მეუღლე, ადამიანი პოზიტივი _ ასე გაგიხსენებთ ყველა, ვისაც კი თქვენთან ჰქონია ურთიერთობა. ძალიან წყნარად და ჩუმად წახვედით ამ ქვეყნიდან. დიდი ენერგიისა და კაცთმოყვარეობის მქონე ქალბატონი. უმწიკვლო, თავმდაბალი, ყველას მოსიყვარულე. განსაკუთრებით გამოირჩეოდი დედმამიშვილებშიც შენი სითბოთი, განათლებითაც კი, რაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩანდა შენს მოღვაწეობაში.

ღირსეული კვალი დატოვე სამტრედიის რაიონის ისტორიაშიც სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილმა ქალბატონმა. მუშაობდი ბაშის სოფლის მეურნეობაში დირექტორის მოადგილედ. ბოლო 25 წელია კი გადახვედი თბილისში და მუშაობდი ფინანსთა სამინისტროში მთავარ სპეციალისტად. ყველასთან თავისუფალი და ამხანაგური იყავი, ნებისმიერის გაჭირვება შეგეძლო გულთან მიგეტანა და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებოდი.

ბუმბულად გქონოდეს ეს მიწა, რაც შენ გულზე გაყრია. ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროს. გჯეროდეს ის, რომ არასოდეს დაგივიწყებთ.

***შენზე გულდაწყვეტილი დები ბადრი და ნანული რობაქიძეები, ასევე ოჯახის ახლობლები***

## რატომ აქვთ ექიმებს ცუდი კალიგრაფია

ექიმის გაუგებარ და ძნელად გასარჩევ კალიგრაფიას სავსებით გასაგები მიზეზები აქვს, რადგანაც პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის შევსება და გაფორმება წარმოადგენს ყოველდღიურ მონოტონურ, ერთფეროვან, რუტინულ სამუშაოს, რომელიც მოითხოვს სტანდარტული წესების შესრულებას.

დროთა განმავლობაში ექიმის კალიგრაფია უარესად, მაგრამ ეს სულაც არ მოქმედებს ფიქსირებული ინფორმაციის ხარისხზე. მდგომარეობას ართულებს პაციენტის მიღების დროის ნორმირებაც (საშუალოდ 15 წუთი). მითითებულ ინტერვალში ექიმი ვალდებულია, გასინჯოს, მოუსმინოს პაციენტს, შეაფასოს მისი მდგომარეობა, გააანალიზოს სიმპტომები, დასვას დიაგნოზი, გააკეთოს დასკვნები, დანიშნოს მკურნალობა და ავადმყოფობის ისტორიაში ან სამედიცინო ანკეტაში გააკეთოს სრულფასოვანი ჩანაწერი.




დიდი დატვირთვის პირობებში, რომლის დროსაც უპირველესი ამოცანა სამედიცინო დახმარების (კონსულტაციის) გაწევაა, კალიგრაფია გადადის მეორე პლანზე. ექიმის ნაწერის გაურკვევლობის ხარისხი პირდაპირ კორელირებს მის სამუშაო სტაჟსა და სპეციალიზაციასთან.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს თეა ბაბუნაშვილს დედის, ქალბატონი

**ია სტურუა-ბაბუნაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---



ნათელა გელეიშვილი თანაუგრძნობს თეა ბაბუნაშვილს დედის, ქალბატონი

**ია სტურუა-ბაბუნაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მაყვალა ჩირგაძე თანაუგრძნობს თეა ბაბუნაშვილს დედის, ქალბატონი

**ია სტურუა-ბაბუნაშვილის**

გარდაცვალების გამო.

## ლიუდმილა მიქელაძის, გია და პაატა კანდელაკების გახსენება!

თითქოს გუშინ იყო ყველაფერი, არადა 8 წელი გავიდა თქვენი გარდაცვალებიდან.

ცრემლს ცრემლი, სევდას სევდა ემატება.

დროის სვლასთან ერთად უფრო გაუსაძლისია უთქვენობა.

დღე არ არის თქვენი მოგონების გარეშე.

ნათელში იყავით ჩვენო ძვირფასო ადამიანებო. ვლოცულობთ თქვენი სპეტაკი სულების უკვდავებისათვის.

***ოჯახი***



ფანჯიკიძის ქუჩაზე მცხოვრები მეზობლები თანაუგრძნობენ ელგუჯა კაჭარავას და ნატო გოგიშვილს, დედისა და დედამთილის ქალბატონი

**ნადიას**

გარდაცვალების გამო.

---

ბადრი ვაშაკიძე და ანზორ ასათიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ელგუჯა კაჭარავას და დავით გოგიშვილის ოჯახებს ქალბატონი

**ნადიას**

გარდაცვალების გამო.

# მობილურმა მოწყობილობებმა შესაძლოა სიბრმავე გამოიწვიოს

მეცნიერები მკაცრად აფრთხილებენ სიბნელეში ტელეფონებისა და პლანშეტების მომხმარებლებს _ ეს მეტად მავნებელი და საზიანოა! დაფიქსირებულია სიბრმავის ორი შემთხვევა. ორივე მათგანი ქალბატონია. როგორც ცნობილი გახდა, ერთ-ერთი ძილის წინ მარცხენა თვალით საათობით უმზერდა მობილური მოწყობილობის ეკრანს, მარჯვენა თვალი კი ბალიშით ჰქონდა დაფარული. შედეგად დაზარალდა სწორედ მარცხენა თვალი.



მეორე ქალბატონი ეცნობოდა სიახლეებს, როგორც კი ეღვიძებოდა გამთენიისას, ინფორმაციას ისიც ერთი თვალით კითხულობდა. შედეგად ერთი თვალის ბადურა ადაპტირდა (შეგუება განიცადა) სიბნელესთან, მეორისა კი სინათლესთან, რომელიც კაშკაშა ეკრანიდან ირეკლებოდა. ბადურა, საზოგადოდ, უჭკვიანესი მექანიზმია, რომელიც მუდმივად გადაეწყობა ხოლმე ცვლადი პირობების შესაბამისად. სიტუაციაში გასარკვევად მეცნიერებმა ქალებს სთხოვეს მოწყობილობებისთვის მხოლოდ მარცხენა თვალით შეეხედათ, შემდეგ მხოლოდ მარჯვენათი. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი თვალი გარკვეული დროით დაბრმავებული იყო. ეს იყო ის თვალი, რომელიც ეკრანს უმზერდა. მეცნიერთა დასკვნები სხვა ექსპერიმენტებითაც გამყარდა _ ადამიანი ბნელ ოთახში შედიოდა ცალთვალდახუჭული, უმზერდა მობილურის კაშკაშა ეკრანს 20 წუთის განავლობაში, შემდეგ კი თიშავდა ტელეფონს. შედეგად თვალი, რომელიც ეკრანს უცქერდა, სინათლის ცვლილებისადმი ცუდად ადაპტირებდა.

ასე რომ, ნუ შეუქმნით საფრთხეს მხედველობას!







# კორეელებმა კომბოსტოს კერძისგან ანტიბიოტიკი შექმნეს

**კორეელმა მეცნიერმა კორეელების ნაციონალური კერძის, კიმჩისგან რძის ფერმენტის გამოყოფის გზით ანტიმიკრობული პეპტიდების მასობრივი წარმოების მეთოდი შეიმუშავეს.**

**ლაბორატორიაში, რომელსაც მიკრობიოლოგიის პროფესორი კანგი ხელმძღვანელობს, მკვლევართა ჯგუფმა რძის ფერმენტის გენეტიკური ანალიზისას აღმოაჩინა უნიკალური ანტიბიოტიკი, რომელსაც პედიოცინი უწოდეს.**

**მეცნიერთა აზრით, ახალი ანტიბიოტიკი ანადგურებს ბაქტერიებს, რომლებიც კვებით ინტოქსიკაციას იწვევს. რაკი საკვები პროდუქტისაგან გამოყოფილი ანტიბიოტიკი ადამიანის ორგანიზმისთვის უსაფრთხოა, ის წარმატებით ჩაანაცვლებს აქამდე არსებულ ტოქსიკურ პრეპარატებს, მით უფრო, რომ ბაქტერიებს მათ მიმართ მდგრადობა გამოუმუშავდათ.**



**მარი თამაზის ასულ წიქვაძეს!**

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო მარი, კარგ სწავლას, ნათელ, ბედნიერ მომავალს გისურვებთ.

უფალმა დაგლოცოს, გაგაძლიეროს!

*გულიკო, ირა ბებიები ოჯახებით*





**ანანო მიქაძეს!**

ჩვენო ლამაზო, თბილო და საყვარელო ანანო, გილოცავთ ამ ლამაზ დღეს. გისურვებთ ცხრათვალა მზეს, ცის შუქის ყველა ფერს, სიხარულს, სიყვარულს ბევრს და კიდევ გისურვებთ უზომოდ უყვარდე ღმერთს.

"ცისარტყელა აკისკისდა, მიებჯინა კლდეს...
თოლიები ზღვის ნაპირზე ნაზად კრავენ წრეს,
წვიმას იწყებს და წვეთები ულიმიან მზეს...
გეფერები და გილოცავთ დაბადების დღეს!"

*ბებიები და ბაბუები*

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა